პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 30 (5430) | ოქტომბერი, 6 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

მესამე ხუთწლედის ამ ძირითადი ამოცანების შესაბამისად, საჭიროა უზრუნველვყოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მთელი მასის კულტურული დონის მნიშვნელოვნად ამაღლება, განვახორციელოთ დიდი ნაბიჯი წინ ისეთ ისტორიულ საქმეში, როგორიცაა მუშათა კლასის, ხალხოსნური ციალისტური საზოგადოების ამ მოწინავე ხელმძღვანელი ძალის, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებიდან.

ბოლშევიკურად ჩავატაროთ თეზისების განხილვა და დელეგატების არჩევა

საქართველოს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც მოისმინა ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენება — „საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით პირველადი პარტორგანიზაციების დახურული კრებების, რაიონული, საქალაქო პარტკონფერენციებისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის მომზადებისა და ჩატარების შესახებ“ სტალინური ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე ზუსტად განსაზღვრა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე ყრილობისწინა დოკუმენტების განხილვის ღონისძიებანი, დაამტკიცა კონფერენციებისა და ყრილობის ჩატარების წესი და მტკიცე ვადები.

დაიწყო ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადების ბრიად პასუხსაგები პერიოდი.

სტალინური ცენტრალური კომიტეტის მითითებების საფუძველზე პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში უკვე გაიშალა ამხანაგ მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების გულდასმით განხილვა და დელეგატების არჩევნები რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე გასაგზავნად.

დახურული პარტიული კრებები უდიდესი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით იხილავენ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებს, რომლებშიაც მთელი სიღრმითაა მოცემული სოციალიზმის ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის დიადი შედეგები, ჩვენს ქვეყანაში მომხდარი უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური ძვრები, ქვეყნის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები, ბოლშევიკების პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, როლის შემდგომი ზრდის პირობები.

პირველადს ორგანიზაციებში სულ მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების კრებებზედაც კი ბოლშევიკები საქმიანად მსჯელობენ სოციალისტური სახელმწიფოს განვლილი გზის შედეგებზე, მსჯელობენ მესამე სტალინურ ხუთწლედზე, სოციალიზმის განვითარების შემდგომ ამოცანებზე. ლენინ-სტალინის პარტიის წესდებაში საჭირო ცვლილებათა შეტანის შესახებ და ამავე დროს უმზადებენ ყრილობას ახალ საწარმოო სარჩევებს.

ბოლშევიკური ამოცანა ახლა მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩავატაროთ დახურული პარტიული კრებები, ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების გარშემო მოვაწყოთ რაც შეიძლება საინტერესო და მიმზიდველი მოხსენებები და ამით უზრუნველვყოთ ამ მსოფლიო-ისტორიული დოკუმენტების საფუძვლიანი განხილვა.

პირველი სიგნალებიდან სჩანს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საკმარისი სერიოზულობით ვერ მიუდგა კრების მომზადების საქმეს: მომხსენებელთა შერჩევას, დღის წესრიგის წინასწარ გაცნობას და სხვ.

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ეწერდით — თბილისის მეცხოველეობის ინსტიტუტში პარტიული კრება ჩაიშალა იმის გამო, რომ მომხსენებელი მოუმზადებელი გამოცხადდა. სწორად მოიქცა ორჯონიკიძის პარტრაიკომი, რომელმაც ეს კრება გადადო მისი ორგანიზებულად ჩატარების მიზნით.

მოუმზადებლად ჩატარდა ირკინიგზის წითელი ჯგუფის კომიტეტთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის კრება.

აშკარაა, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ გაიგო, თუ რაში მდგომარეობს თეზისების წინასწარ განხილვის ძირითადი აზრი.

საქმე ეხება ყრილობისწინა დოკუმენტების გულმოდგინედ შესწავლას, საქმიან მსჯელობას უაღრესად მნიშვნელოვან პარტიულ, სახელმწიფოებრივ საკითხებზე.

საქმე ეხება ძვირფას წინადადებათა გამოვლინებას, რომლებიც დაეხმარებიან XVIII ყრილობას კოლოსალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმმა წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველჰყონ რაიონულ, საქალაქო კონფერენციებზე და XII ყრილობაზე ისეთ დელეგატთა გაგზავნა, „რომლებიც იძლევიან ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშებს, უსაზღვროდ ერთგული არიან ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა“.

მთელი მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს ბოლშევიკების XII ყრილობისათვის და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ორგანიულად უნდა იყოს დაკავშირებული სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტასთან. ყრილობისათვის მოსამზადებელმა მუშაობამ შედეგად უნდა მოგვცეს შრომითი ენტუზიაზმის კიდევ ახალი აზვირთება, საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა.

ორდენოსანი საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანები, რომლებიც მზურვალედ ჩაებნენ XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში, უმზადებენ დედა-სამშობლოს ახალ საწარმოო გამარჯვებებს.

ერთი გრძნობით, ერთი მისწრაფებით არიან გატაცებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციები — ორგანიზებულად ჩაატარონ მთელი მოსამზადებელი მუშაობა XVIII ყრილობისათვის, კიდევ უფრო გააძლიერონ შემტევი რევოლუციური სიფხიზლე, უფრო შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კონკრეტული საქმეებით, ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ თავიანთი ყრილობა და გამარჯვების პატაკით წარსდგნენ XVIII ყრილობაზე დიდ სტალინთან.

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების), რომელიც შექმნილია და გამოზრდილია დიდი **სტალინის** მიერ საქართველოს და კავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე, რომლის რიგებიც ფოლადისებურად გამაოწრთო **ლ. პ. ბერიამ** კომუნიზმის ყველა მტრებისადმი შეურიგებლობის სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე — იყო, არის და იქნება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ერთგული რაზმი, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ურყევი ბურჯი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას შევეგებოთ ახალი სტახანოვური გამარჯვებებით

კიროველებმა მიიღეს გამოწვევა

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე 1000-ზე მეტი კაცი მოვიდა. კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ნევზოროვმა. ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ნ. დოჭსპულომ დამსწრეებს გააცნო უკრაინის სსრ ქალაქ მელიტოპოლის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივის მომართვა, რომელიც ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ახალ საწარმოო ვალდებულებებს იღებენ 1939 წელში შესასრულებლად და სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივს.

ამხ. ნ. დოჭსპულომ კრებაზე დამსწრეთ გააცნო აგრეთვე თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივის მიერ წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა, რომელიც გზ. „კომუნისტის“ საშუალებით მოეწყო.

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

„თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა, მოსამსახურეთა კოლექტივის საერთო კრება იღებს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივის გამოწვევას წინასაყრილობო შეჯიბრებაში გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით.

თავის მხრივ ქარხნის კოლექტივი, XVIII პარტყრილობის გახსნის დღის აღსანიშნავად, პირობას იძლევა ყრილობის საჩუქრად მისცეს ჩვენს ქვეყანას:

ექვსი ცალი ქუროსსაჭრელი ჩარხი, რომელთა ათვისება პირველად ხდება სსრ კავშირში.

ხუთი ცალი მილმკუთხავი ჩარხი, რომელთა ათვისება პირველად ხდება სსრ კავშირში.

ერთი სახარატო ჩარხი.

ორი ცალი ახალი ტიპის ჭანჭიკმჭრელი ჩარხი.

ჭანჭიკმჭრელი ჩარხების დამზადების კვარტალური გეგმა შეასრულოს 5 ჩარხის გადამეტებით ყრილობის გახსნის დღისათვის.

თავის მხრივ ქარხნის კოლექტივი წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ღებულობს ქარხანას „თბილისის ცენტროლიტი“.

გარდა ამისა, მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა მოწინავე სტახანოველებმა, დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევას, ინდივიდუალურად იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებები.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ამავე დროს ერთსულოვნად მიიღო უკრაინის სსრ ქალაქ მელიტოპოლის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში და დეპეშით აცნობა მელიტოპოლის ქარხნის დირექტორს, პარტიულ კომიტეტსა და საქარხნო კომიტეტს, რომ მოელიან მათ წარმომადგენლებს სოციალისტური შეჯიბრების გასაფორმებლად.

საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება

მოსკოვი, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისარის 1 სახელმწიფო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ვალდებულება იკისრა გეგმის ვადაზე ადრე შესრულებით დაამზადოს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის საჩუქრად 150 ათასი საკისარი, აჩაღებს ბრძოლას მაღალი მაჩვენებლებისათვის. სამშვიდლო საამქრომ 2 თებერვალს დაამზადა 185.581 რგოლი დავალებით გათვალისწინებული 172.940 რგოლის ნაცვლად, 3 თებერვალს — 183.994 რგოლი. სახეს საამქროში ოსტატ ამხ. მინინის უბანი ცვლაში ამუშავებს 4.500 რგოლს (ნორმაა 3.400).

ჭრაქჭორები გავიდნენ მინდვრად

ბოგრჩალო, 4 თებერვალი (საქ. დესი). დღეს ბოგრჩალოს სატრაქტორო სადგურის 59 ტრაქტორი პირველნი გავიდნენ საქართველოში მინდვრის სამუშაოზე. ტრაქტორები შეკეთებულია ვადამდე 20 დღით ადრე, სამანქანო-სატრაქტორო სადგური უზრუნველყოფილია ძველი კვალიფიციური ტრაქტორისტებით. მინდვრად გასვლის წინადღით სამანქანო-სატრაქტორო სადგურში ჩატარდა ტრაქტორისტების კრება, რომელზედაც ისინი გაეცნენ ამხანაგ მოლოტოვისა და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს. მესამე ბრიგადამ ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის გეგმა 160 პროცენტით შეასრულოს, დაზოგოს საწვავი და საცხები მასალა 10 პროცენტით.

დღეს, მინდვრად გასვლის წინ, შეხვდა მიტინგი, რომელსაც 200 მუშა და მოსამსახურე დაესწრო. მე-3 ბრიგადის საუკეთესო ბრიგადირმა აჯი ბალა დემურჩიევმა შემოიტანა წინადადება — საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად დაიდოს სოციალისტური ხელშეკრულება სომხეთის ერთერთ უდიდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურთან. ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ყველა ტრაქტორისტმა და ბრიგადირმა.

თვიური გეგმა 152 პროცენტით შეასრულეს

დიდი მიღწევებით ეგებება პარტიის XVIII ყრილობას ოქტომბრის რევოლუციის სახელობის სპილენძსაგლინავი ქარხნის კოლექტივი. იანვრის გეგმა შესრულებულია 152 პროცენტით. ქარხანამ წარმატებით შეასრულა სპილენძის ფურცლის გაგლინვის დავალება. 200 პროცენტით და კიდევ მეტით შეასრულეს კვების მრეწველობისა და მშენებლობის აპარატურის დამზადების გეგმა.

ქარხანამ დაამზადა 3.000-დე გამოსახდელი ქვაბი, ბილითონისაგან გაკეთა 50 სააბაზანე სვეტი, გამოშვებულია აგრეთვე დიდძალი ტაშტი წყალსასხმელი აპარატურისათვის და სხვ.

ქარხნის მთელი კოლექტივი ენტუზიაზმით ემზადება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შესახვედრად. კოლექტივმა ერთსულოვნად იკისრა ვალდებულება, რომ კვარტალურ გეგმას შეასრულებს ვადამდე — ყრილობის გახსნის დღისათვის. მუშები დიდი აღფრთოვანებით ჩაებნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის შეჯიბრებაში და იკისრეს მოიპოვონ ახალი საწარმოო გამარჯვებანი. (საქდესი).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — ამხანაგ სტალინს სსრ კავშირის სახკომსაბჭო — ამხანაგ მოლოტოვს

ჩვენ, ჭ. მოსკოვის კინოსაწარმოთა მუშაკები, რომლებიც შევიკრიბენით მიტინგზე საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებასთან და „მოსფილმის“ კინოსტუდიისათვის ლენინის ორდენის მიკუთვნებასთან დაკავშირებით, ჩვენს მხურვალე მადლობას ვუძღვნით თქვენი სახით ჩვენი დიადი მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას იმ მაღალი პატივისა და ნდობისათვის, რაც გამოგვეცხადა ჩვენ და კინოხელოვნებას, რომელსაც ჩვენ ვახმართ ჩვენს ცოდნასა და ძალღონეს.

ჩვენ ღრმა მადლობას ვუძღვნით პარტიასა და მთავრობას ყოველდღიური ხელშეწყობისა და დაბმარებისათვის, რაც ეწევა საბჭოთა კინემატოგრაფიას, ჩვენთვის, ხელოვნების მსახურთათვის, სასიხარულო შემოქმედებითი შრომის ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც უმაგალითოა მთელს მსოფლიოში. ჩვენ მადლობას ვუძღვნით პარტიასა და მთავრობას იმისათვის, რომ თავისი ყურადღებით ჩვენდამი, საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის ერთერთი რაზმისადმი, მათ უდიდეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სიმაღლეზე აჰყავთ ხელოვნება სსრ კავშირის ხალხთა მრავალმილიონიანი ოჯახის თვალში.

მაღალი ჯილდო, რომლის ღირსიც საბჭოთა კინემატოგრაფია გახდა, გვაკისრებს ჩვენ ყველას, საბჭოთა კინოს შემოქმედებითს, ინჟინერ-ტექნიკურ, სამეურნეო და ადმინისტრატიულ მუშაკებს უდიდეს მოვალეობას — გავხადოთ საბჭოთა კინემატოგრაფია ისეთ ხელოვნებად, რომელიც შეიფერება სტალინური ეპოქის, კომუნიზმის აშენების ეპოქის სიდიადეს, გავხადოთ კინემატოგრაფია პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთ უმძლავრეს იარაღად მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში, რაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მესამე ხუთწლედის პირობებში.

ჩვენ სიტყვას ვაძლევთ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს და პირადად თქვენ, ამხანაგო **სტალინ** და ამხანაგო **მოლოტოვ,** მივცეთ ხალხს სურათები, რომლებიც ასახავენ ჩვენს მზიურ, საამურ საბჭოთა სინამდვილეს, სოციალიზმის გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში, სურათები, რომლებიც გააცნობენ ხალხის მასებს ჩვენი პარტიის დიად ისტორიულ საქმეებს, მის სახელოვან გამოჩენილ მოღვაწეებს, სურათები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების, მაღალ მორალურ ღირსებებს და ჩაუნერგავენ მათ პატრიოტიზმის გრძნობას და მზადყოფნას დაიცვან ჩვენი სოციალისტური სამშობლო ყოველი მტრისაგან.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას კინოხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისაკენ მიმართულ მთელს ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში ვიყოთ ღირსნი ლენინ-სტალინის პარტიისა, განვასახიეროთ მისი იდეები მხატვრულ სახეებში, დავანახვოთ მასებს ხელოვნების საშუალებით მაგალითები ბოლშევიკების უსაზღვრო ერთგულებისა მშრომელი მასებისადმი, მათი სიმტკიცისა და შეუპოვრობისა სიძნელეთა გადალახვაში კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების გზაზე.

ჩვენ, საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკებს, გვამხნევებს და გვაფრთოვანებს პერსპექტივა კინოხელოვნების უდიდესი ზრდისა, გაფართოებისა და მოსახლეობასთან დაახლოებისა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებში საკავშირო კომუნისტური პარტიის მომავალი XVIII ყრილობაზე. ჩვენ სიტყვას ვაძლევთ პარტიასა და მთავრობას მთელი ჩვენი ძალღონე, ცოდნა და ენერგია მოვახმაროთ იმ საქმეს, რომ უზრუნველვყოთ კინემატოგრაფიის **სრული ხელმისაწვდომობა** ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა მშრომელისათვის, იმ საქმეს, რომ თავის დროზე და ქვალიფიციურად **ვუჩვენოთ** მოსახლეობას საბჭოთა კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებნი. ჩვენ ბოლშევიკურად ვიბრძოლებთ **კინოკლასის გაფართოებისათვის, მაღალხარისხოვანი ექსპერიმენტისათვის** მისი მომარაგებისათვის, საბჭოთა **კინოაფსკის** გამოშვების გადიდებისათვის, **კინოსურათების ტირაჟის** გადიდებისათვის, რომლებიც მომსახურებას უწევენ მშრომელთათვის კინო-სურათების ჩვენების საქმეს. ჩვენს მუშაობაში ჩვენ მტკიცედ ვიხელმძღვანელებთ იმ წესით, რომელსაც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ვიყოთ პასუხისმგებელნი ხალხის წინაშე და ყოველნაირად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილებანი და საჭიროებანი.

ჩვენ გჯერწმუნობთ ვალდებულებას შევხვდეთ ბოლშევიკთა, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას საწარმოო წარმატებებით კინემატოგრაფიის მუშაობის ყველა დარგში და ამით გავამართლოთ ის მაღალი ჯილდო, რომლის ღირსიც გაგვხადეს ჩვენ პარტიამ და მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობამ.

გაუმარჯოს სოციალისტურ გამარჯვებათა სულისჩამდგმელს — ჩვენს მშობლიურ ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, საბჭოთა კინემატოგრაფიის ზრდისა და აყვავების ორგანიზატორს!

გაუმარჯოს მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს—ჩვენს მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

მიღებულია ქალ. მოსკოვის კინომუშაკთა მიტინგზე 1939 წ. 3 თებერვალს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ტამბოვის ოლქის კენზისა და ტამბოვის ოლქებად გაყოფის შესახებ.

1. დამტკიცდეს რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შემოტანილი წინადადება ტამბოვის ოლქის გაყოფის შესახებ: **პენზის** ოლქად ცენტრით ქალაქ პენზაში და **ტამბოვის** ოლქად ცენტრით ქალაქ ტამბოვში.

2. გამოიყოს ტამბოვის ოლქიდან პენზის ოლქის შემადგენლობაში ქალაქი პენზა და შემდეგი რაიონები: ბედნოდემიანოვსკის, ნაროვჩატის, კეჩენსკის, ნიჟნი ლომოვის, გოლიცინოს, პაჩელმის, გოლოვინშჩინის, ბაშმაკოვოს, პოიმის, ჩემბარის, კამენკის, სვინჩეევკის, ტელეგინოს, კონდოლის, მოკშანის, ისის, ბოლშოი-ვიასის, ლუნინოს, ბესონოვკის, გოროდიშჩის, შემიშეიკის, ზამეტჩინოს, სოსედკის და ტერნოვკის.

3. შეუერთდეს პენზის ოლქს კუიბიშევის ოლქის ნიკოლსკაია-პესტრავკის, ლიტვინოს, კუზნეცკის, ნიკოლაევკის, ბარანოვკის, ნევეჩკინოს, კამიშკირის რაიონები და სარატოვის ოლქის ბეკოვოს, დანილოვკის, კოლიშლეის, ლოპატინოს, მალაია სერდობის, სერდობის და ტამალის რაიონები.

4. ტამბოვის ოლქის დანარჩენი ქალაქები და რაიონები დატოვებულ იქნას ტამბოვის ოლქის შემადგენლობაში.

5. შეუერთდეს ტამბოვის ოლქს ვორონეჟის ოლქის შეხმანის, ვოლჩკის, შულგინოს, მორდოვოს, ტოკარევკის, პოლეტაევოს, ჟერდევკის, ტუგოი ლუკის, რჟაკსის, კამენკის, უვაროვოს, მუჩკაპის, შაპკინოს და შაიკულოვოს რაიონები და რიაზანის ოლქის სოსნოვკის, ლამკის, სტარო-იურიევოს, პერვომაისკის რაიონები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 4 თებერვალი

საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და საქალაქო კომიტეტების და ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმები

მოსკოვი, 3 თებერვალს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციების ჩატარების შესახებ.

პლენუმმა 1939 წლის 27 თებერვლისათვის დანიშნა მოსკოვის VII საოლქო და VI საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენციის გახსნა, დაამტკიცა დღის წესრიგი და წარმომადგენლობის ნორმა. საკ. კ. პ. (ბ) საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა წინადადება მისცა რაიონულ და საქალაქო პარტიულ კომიტეტებს და პირველადს პარტორგანიზაციებს ძალაყოფ ყველა იმ შესწორებისა და კონკრეტულ წინადადებათა ზუსტი აღრიცხვა, რომლებსაც შემოიტანენ კომუნისტები ამხ. მოლოტოვის და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების პარტიულ კრებებზე და რაიონულ კონფერენციებზე განხილვის დროს, და კრებებისა და კონფერენციების დამთავრებიდან არაუგვიანეს სამი დღისა წარადგინონ ისინი საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტში.

ფრუნზე, ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ყირგიზეთის კომპარტიის III ყრილობა მოიწვიოს 22 თებერვალს. ყრილობა განიხილავს ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს და აირჩევს დელეგატებს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნად. პარტიულ კაბინეტებთან ეწყობა სსრ კავშირის მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის მოპოებულ მიღწევათა გამოფენები, კონსულტაცია ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების შესახებ.

ლენინგრადი, 3 თებერვალს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი საკ. კ. პ. (ბ) ქალაქ ლენინგრადისა და მისი ოლქის რაიკომთა მდივნების მონაწილეობით. პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ჩატარდეს პირველადი პარტორგანიზაციების კრებები, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები.

ქრონიკა

იემენის მეფემ იმამ იახიამ და სამეარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მ. მ. ლიტვინოვმა ერთმანეთს მიმართეს ნოტებით, რომლებითაც ათი წლით, ე. ი. 1949 წლის 24 ივნისამდე გაუგრძელდა ვადა სსრ კავშირსა და იემენს შორის 1928 წლის 1 ნოემბერს სანაადო დადებულ ხელშეკრულებას მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. (საქდესი).

მუშა-ახალგაზრდობის კრებაზე

ფეხსაცმლის № 3 ფაბრიკაში ჩატარდა კომკავშირის წევრთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის საკითხის განხილვისადმი.

მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ახალგაზრდები, რომელთაც აიღეს კონკრეტული ვალდებულებები.

კომკავშირელ ჟამკოჩიანის ბრიგადამ აიღო ვალდებულება ყრილობის მოწვევისათვის საწარმოო გეგმა შეასრულოს 180 პროცენტით, კაცობა-შვილის ბრიგადამ — 130 პროცენტით.

ინდივიდუალური ვალდებულებები აიღეს ამხანაგებმა ჯინჯიხაშვილმა, სარქისოვმა, ჯანაშვილმა, მურადიანმა, ვაზხელაშვილმა, აკოფოვმა, დავთიანმა და სხვ. ეს ამხანაგები ჩაებნენ XVIII პარტყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ გამოიწვიეს დანარჩენი ახალგაზრდები.

ვ. ციციშვილი

გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობათა შორის

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა XVIII პარტყრილობის შესახვედრად ახალი გამარჯვებებით. კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების გაცნობა. ზორვეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ბრიგადირმა მ. ციბაძემ იკისრა თესვისათვის შეასრულოს პლანტაჟის გეგმა და საუკეთესოდ მოუაროს ახლად დარგულ ვაზს.

ორჯონიკიძის კოლმეურნეობამ შეჯიბრებაში ვამოიწვია ქვემო-საქარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა. კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა მიიღეს გამოწვევა და თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს პირველი სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

ცხრაწყაროს მარჩვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირებმა ვ. კვინიკაძემ და ს. კოპაძემ იკისრეს სანიმუშოდ მოუაროონ მუშა-პირუტყვს, გულმოდგინედ შეაკეთონ სასოფლო - სამეურნეო იარაღები და საუკეთესოდ მოუაროონ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში წარსადგენ ექსპონატებს (ეს კოლმეურნეობა გამოფენის კანდიდატია). მარჩვის სახელობის კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კომინტერნისა და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობები.

ვ. გოგიაშვილი

დღითი-დღე მაჯულობს ქვანახშირის ამოღება

ტყიბული, (საქდესი). პარტიის XVIII ყრილობის სახელობის შეჯიბრებამ ტყიბულის ქვანახშირის მთელ მაღაროელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ქვანახშირის ამოღება ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში განუწყვეტლად მატულობს.

თებერვლის პირველი სამი დღის განმავლობაში ტრესტმა მთლიანად ამოიღო 3.069 ტონა ქვანახშირი, რაც სამდღიური დავალების 104 პროცენტს შეადგენს. 3 თებერვალს გეგმით გათვალისწინებულ 983 ტონის ნაცვლად ამოღებულია 1.068 ტონა ქვანახშირი. დღიური გეგმა შესრულებულია—108,6 პროცენტით. 1939 წელს ეს უდიდესი ციფრია.

მაღაროების სტახანოველები და მთელი კოლექტივი ახალ კიდევ უფრო დიდი გამარჯვებებით ემზადებიან XVIII ყრილობის შესახვედრად.



თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ამხ. ტამილინის ზეინკალთა ბრიგადა, რომელმაც აიღო ვალდებულება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნის დღისათვის პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს.
საქდესის ფოტოქრონიკა

დიპლომატიურ წრეებში

ა. წ. 5 თებერვალს მოსკოვიდან გაემგზავრა უნგრეთის მისიის მთელი შემადგენლობა საგანგებო ელჩისა და სრულუფლებიანი მინისტრის ბ-ნ იუნგერტ-არნოტის მეთაურობით. (საკდესი).

საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტის სასურველდეგოდ

საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქ. ალკაკ XIV ყრილობა გაიხსნება 7 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, შინსახკომის კლუბის შენობაში, ბესიკის ქუჩა № 4.

ყრილობის დღის წესრიგი

1. საქ. ალკაკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. საქ. ალკაკ ცენტრალურ კომიტეტის არჩევნები
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები

საქ. ალკაკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. მირცხულავა

ყრილობის დელეგატებისათვის მანდატების გაცემა იწარმოებს დღეს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე და 7 თებერვალს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე საქ. ალკაკ ცენტრალურ კომიტეტის შენობაში, ძერჟინსკის ქუჩა № 8, ტელეფონები — —3—09—47, 3—07—22.

ქვანახშირის მრეწველობაში გამომუშავების ნორმებისა და შეფასებათა გადასინჯვის შესახებ

სათბობი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ღ. მ. კაგანოვიჩის 1939 წლის 27 იანვრის № 1 ბრძანების შინაარსი

სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ღ. მ. კაგანოვიჩმა გამოსცა ბრძანება ქვანახშირის მრეწველობაში გამომუშავების ნორმებისა და შეფასებათა გადასინჯვის შესახებ.

ქვანახშირის მრეწველობის მაღაროებში მომქმედი გამომუშავების ნორმები, — ნათქვამია ბრძანებაში, —არ ყოფილა გადასინჯული 1936 წლის თებერვლიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე ქვანახშირის მრეწველობაში მიღწეულია წარმოების ტექნიკის თვალსაჩინო გაუმჯობესება (შექანიზაცია, ახალი მანქანების ამუშავება) და მოხდა დიდი ცვლილებანი შრომის ორგანიზაციაში.

გამომუშავების ნორმები, დაწესებული 1936 წელს, შემდეგში მაღაროებისა და უბნების ბევრი ხელმძღვანელის მიერ თვითნებურად იქნა შემცირებული, რამაც გამოიწვია მავნე სხვაობა გამომუშავების ნორმებსა და შეფასებებში ერთნაირ სამუშაოებზე, ნორმების სიმრავლე და წვლილადობა.

მაღაროებისა და უბნების ბევრი ხელმძღვანელი, შრომის ნაყოფიერების გასაღიდებლად საჭირო პირობათა შექმნის ნაცვლად, ფართოდ მიმართავდა შეუსრულებელ სამუშაოთა მიწერას და ბოროტად იყენებდა ზედმეტ საათებში მუშაობას.

ამის შედეგად მაღაროებში ამჟამად არსებული გამომუშავების ნორმები შემცირებული აღმოჩნდა და არ შეესაბამება წარმოების ტექნიკისა და ორგანიზაციის დონეს და აფერხებს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 26 იანვრის დადგენილების შესაბამისად, სახალხო კომისარმა ბრძანა:

მოხდეს გამომუშავების ნორმების გადასინჯვა მაღაროებსა, დამხმარე საამქროებსა და ქვანახშირის მრეწველობის დამხმარე საწარმოებში იმ სამუშაოებზე, სადაც არსებული ნორმები არ შეესაბამებიან ტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის დონეს, აგრეთვე იმ სამუშაოებზე, სადაც 1936 წელს დაწესებული ნორმები უკანონოდ იყო შემცირებული.

გადიდდეს გამომუშავების ნორმები ქვანახშირის მრეწველობის მთავარსამმართველოს თვალსაჩინო გაუმჯობესება (შექანიზაცია, ახალი მანქანების ამუშავება) და მოხდა დიდი ცვლილებანი შრომის ორგანიზაციაში.

ბრძანებაში მოცემულია მითითებანი, თუ რა ოდენობით უნდა გაუდიდდეს ნორმები ნარდად მომუშავეებს ცალკეულ ბასეინებში.

ნაბრძანებია, რათა გამომუშავების ნორმების გადიდებისას შემცირდეს სანარდო შეფასებანი ქვანახშირის მრეწველობის მთავარსამმართველოს ხაზით საშუალოდ 8.5 პროცენტით ყველა ნარდად მომუშავის მიმართ.

ბრძანებაში მოცემულია დავალება, რათა გადიდებულ იქნას გამომუშავების ნორმები და შემცირდეს სანარდო შეფასებანი მუშათა ცალკეული პროფესიებისათვის მთლიანად ქვანახშირის მრეწველობის მთავარსამმართველოს ხაზით.

ნაბრძანებია, რათა ცალკეულ ბასეინებში გამომუშავების ნორმების გადიდება და სანარდო შეფასებათა შემცირება პროფესიების მიხედვით მოხდეს ბრძანების დანართში აღნიშნული ოდენობით.

წინადადება მიეცათ, რათა ქვანახშირის მრეწველობის ყველა დამხმარე საწარმოსა და საამქროში გამომუშავების ნორმები სანარდო სამუშაოებზე გადიდდეს საშუალოდ 15 პროცენტით და სანარდო შეფასებანი შემცირდეს 13 პროცენტით. თვითეულ სამუშაო ადგილზე გამომუშავების ახალი ნორმების დაწესებისას მაღაროების გამგენი ვალდებულნი არიან დაემყარონ იმას, თუ რამდენად მექანიზებულია მოცემული სამუშაო, რამდენად გამოყენებულია ახალი მეთოდები და რამდენად მაღალია შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე. ნორმების გადასინჯვასთან ერთად უნდა მოხდეს გამომუშავების ნორმების რაოდენობის და მათი წვლილადობის შემცირება, აგრეთვე ერთნაირ სამუშაოებზე ნორმების შეძლებისდაგვარად გათანაბრება.

მძლავრ ჭაბებზე, რაბილ ქვანახშირზე, გვირაბებში და ვიწრო სვლით მოსამზადებელ სამუშაოებზე გამომუშავების ნორმები უფრო მეტად უნდა დიდდებოდეს, ვიდრე ნაკლები სიმძლავრის ჭანებზე, მაგარ ქვანახშირზე, ლავებში და უბითი ფართო სვლით მოსამზადებელ სამუშაოებზე.

ცალკე პროფესიების გამომუშავების ნორმების გადასინჯვისას გამომუშავების ნორმები თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დიდდებოდეს 15 პროცენტით მაინც.

მაღაროების გამგენი გამომუშავების ნორმების გადიდებისას აწესებენ შეფასებათა შემცირების კონკრეტულ პროცენტს შრომის მიღწეული ნაყოფიერების და თვითეული მაღაროსა და სამუშაო ადგილის პირობების მიხედვით.

თვითეულ ცალკე შემთხვევაში მუშებს, რომელნიც ხელფასს პროგრესიული სანარდო სისტემის მიხედვით იღებენ, შეფასებანი უნდა შეუმცირდეთ 6 პროცენტით მაინც და არა უმეტეს 13 პროცენტისა, ამასთან საჭიროა ხელმძღვანელობა იმით, რომ გადამუშავების ნორმების მეტ გადიდებას, როგორც წესი, უნდა შეესაბამებოდეს შეფასებათა ნაკლები შემცირება.

გამომუშავების ყველა ახლადდადწესებულ ნორმებს და სანარდო შეფასებებს ამტკიცებენ ტრესტების მმართველნი.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და გამომუშავების ახალი ნორმების გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის მაღაროების გამგეებს წინადადება ეძლევათ ინჟინერ - ტექნიკურ მუშაკებთან ერთად, სტახანოველი მუშების მონაწილეობით, გაატარონ ღონისძიებანი სამუშაო ადგილის უკეთ მომზადებისა და სამუშაო დღის შემჭიდროებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცების ყველა იმ ღონისძიებათა სრული განხორციელებისათვის, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წ. 28 დეკემბრის დადგენილებით.

მიცემულია წინადადება, რათა გამომუშავებისა და შეფასების ახალი ნორმები შემოღებულ იქნას 1939 წლის 15 თებერვლიდან დონბასში, კუზბასში, მოსკოვქვანახშირში, აღმოსავლეთ ციმბირის ქვანახშირში და ყარაგანდაში და 1939 წლის 1 მარტიდან — ქვანახშირის დანარჩენ რაიონებში.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1938 წლის 13 ნოემბრის № 474 ბრძანების შესაცვლელად უფლება გამომუშავების ნორმების შეცვლისა შემცირების მიმართულებით, ტრესტების მმართველთა ნაცვლად ენიჭებათ მხოლოდ კომბინატების უფროსებს.

წლის განმავლობაში შეცვლილი ნორმების რაოდენობა თვითეულ მაღაროში არ უნდა აღემატებოდეს ნორმების საერთო რიცხვის 5 პროცენტს.

კანონის პირდაპირ დარღვევად ითვლება რა სამუშაოთა შეუსრულებელ მოცულობათა მიწერა ხელფასზე, რასაც ადგილი აქვს, —ნათქვამია შემდეგ ბრძანებაში,—დაევალოთ კომბინატების უფროსებს, ტრესტების მმართველებს, მაღაროების გამგეებს და უბნების უფროსებს აღკვეთონ მიწერის, აგრეთვე ზედმეტ საათებში მუშაობის ბოროტად გამოყენების პრაქტიკა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ამის ხარჯზე თვითღირებულების შემცირების ხაზით ეკონომიის მიღება მუშათა ხელფასის ფონდის 3 პროცენტის რაოდენობით მაინც. ის პირები, რომელნიც დამნაშავენი იქნებიან მიწერაში და ზედმეტ საათებში მუშაობის ბოროტად გამოყენებაში, მიცემულ უნდა იქნან უსასტიკეს პასუხისგებაში და თვით სამართალშიაც კი.

გამომუშავებისა და შეფასებათა ნორმების გადასინჯვა დიდი სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს და გულდასმით მომზადებულ და გატარებულ უნდა იქნას საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და თვით მუშების აქტიური მონაწილეობით.

კომბინატების უფროსები, ტრესტების მმართველნი, მაღაროების გამგენი და საწარმოთა დირექტორები პირადად უნდა ჩაუდგნენ სათავეში გამომუშავების ნორმებისა და შეფასებათა გადასინჯვის მთელს სამუშაოს, ეს მუშაობა მათ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა ჩაატარონ და ფხართოდ უნდა ჩაებან მასში სტახანოველი მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

ბრძანება შეთანხმებულია პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან.

(„ინდუსტრია“, 4 თებერვალი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების შესახებ

კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების მოწესრიგებისა და გამარტივების მიზნით, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება ამ საკითხზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ კოლმეურნეობებისათვის, რომელთა კოლმეურნეობის შედის არა უმეტეს 30 კომლისა, გარდა იმ კოლმეურნეობებისა, რომელთაც აქვთ 30.000 მანეთზე მეტი წლიური ფულადი შემოსავალი, ანგარიშწარმოების შემოკლებული სისტემა; კოლმეურნეობებისათვის, რომლებშიაც შედის 30-დან 100 კომლამდე, გარდა იმ კოლმეურნეობებისა, რომელთაც აქვთ 100.000 მანეთზე მეტი წლიური ფულადი შემოსავალი, ანგარიშწარმოების მარტივი სისტემა და კოლმეურნეობებისათვის, რომლებშიაც შედის 100-ზე მეტი კომლი ან რომელთაც აქვთ 100.000 მანეთზე მეტი წლიური ფულადი შემოსავალი, ამასთან აუცილებლად ჰყავთ მომზადებული მოანგარიშეები, — ანგარიშწარმოების ორმაგი სისტემა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა წიგნებისა და პირველადი დოკუმენტების ფორმები საკოლმეურნეო ანგარიშწარმოების თვითეული სისტემისათვის, აგრეთვე ორმაგი სისტემის საკოლმეურნეო ანგარიშწარმოების მთავარი და დამხმარე ანგარიშების ნუსხა.

დადგენილების შესაბამისად, კოლმეურნეობათა ძირითადი მასა აღრიცხვას აწარმოებს ანგარიშწარმოების მარტივი და შემცირებული სისტემით, რომელიც სავსებით ხელმისაწვდომია ყოველი წერა-კითხვის მცოდნე კოლმეურნისათვის, რაც აადვილებს კოლმეურნეობებში აღრიცხვის დაყენების მასობრივ კონტროლს.

ანგარიშწარმოების შემოკლებული სისტემის დროს კოლმეურნეობის გამგეობა აღრიცხვას აწარმოებს შემდეგი ექვსი წიგნით:

კოლმეურნეობის წევრთა და მათი ოჯახების აღრიცხვის წიგნი.

კოლმეურნეობის წევრთა შრომადღეების აღრიცხვის წიგნი.

ნატურალური და ფულადი შემოსავლის, მასალებისა და ფონდების აღრიცხვის წიგნი.

ხაზინადრის შემოსავალ-გასავლის წიგნი.

დაწესებულებებთან და ცალკე პირებთან ანგარიშსწორების წიგნი.

საინვენტარო წიგნი.

ანგარიშწარმოების ორმაგი სისტემის დროს კოლმეურნეობის გამგეობა აღრიცხვას აწარმოებს შემდეგი თერთმეტი წიგნით:

კოლმეურნეობის წევრთა და მათი ოჯახების აღრიცხვის წიგნი.

კოლმეურნეობის შრომადღეების აღრიცხვის წიგნი.

კოლმეურნეობის წევრებთან ანგარიშსწორების წიგნი.

საინვენტარო წიგნი.

ნატურალური შემოსავლის და მისი განაწილების აღრიცხვის წიგნი.

ფულადი შემოსავლისა და მისი განაწილების აღრიცხვის წიგნი.

საწესდებო - საკოლმეურნეო ფონდების წიგნი.

ხაზინადრის შემოსავალ-გასავლის წიგნი.

მასალების აღრიცხვის წიგნი.

დაწესებულებებთან და ცალკე პირებთან ანგარიშსწორების წიგნი.

საძირკვლო დოკუმენტების რეგისტრაციის წიგნი.

ანგარიშწარმოების ორმაგი სისტემის დროს იმ წიგნების რაოდენობა, რომლებითაც სწარმოებს აღრიცხვა კოლმეურნეობის გამგეობაში, ცამეტამდე იზრდება.

გარდა ამისა, დამტკიცებულია იმ წიგნებისა და დოკუმენტების ფორმები, რომლებითაც სწარმოებს აღრიცხვა ბრიგადაში, ფერმაში და კოლმეურნეობის საკუმანოში, აგრეთვე კოლმეურნის შრომის წიგნაკის ფორმა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული საკოლმეურნეო ანგარიშწარმოების სისტემები, ანგარიშწარმოების ძველი სისტემისაგან განსხვავებით, აწესებენ ნატურალური და ფულადი შემოსავლის ცალკე ცალკე აღრიცხვას კოლმეურნეობებში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს შემოსავლის სწორ განაწილებას კოლმეურნეობებში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა მიწსახკომისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქცია ანგარიშწარმოების შემოკლებული და მარტივი სისტემებით დოკუმენტების შედგენისა და წიგნების წარმოებისათვის.

იმ მოკავშირე რესპუბლიკათა მიწსახკომები, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, ავტონომიურ რესპუბლიკათა მიწსახკომები. საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებანი მოვალენი არიან ერთი თვის ვადაში ვანიხილონ და დაამტკიცონ იმ კოლმეურნეობათა სიები, რომლებიც აღრიცხვას აწარმოებენ ანგარიშწარმოების დამტკიცებული სისტემების მიხედვით.

სსრ კავშირის მიწსახკომს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს წინადადება მიეცათ ა. წ. 1 მარტისთვის დაბეჭდონ საკოლმეურნეო ანგარიშწარმოების წიგნები და პირველადი დოკუმენტების ფორმები.

სსრ კავშირის მიწსახკომმა უნდა მოაწყოს კოლმეურნეობათა მოანგარიშეებისა და ბუხჰალტრების ინსტრუქტირება სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმებით ანგარიშწარმოების წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გაათქმა სსრ კავშირის მიწსახკომის 1935 წლის 26 იანვრის ბრძანება, რომელიც ავალებს ყველა კოლმეურნეობას აღრიცხვა აწარმოონ ანგარიშწარმოების მხოლოდ რომაგი სისტემის მიხედვით. (საკრებ.)

ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ცალკეული პროფესიების ხელფასის გადიდებისა და მათთვის პრემიების მიცემის შესახებ

სათბობი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ღ. მ. კაგანოვიჩის 1939 წლის 27 იანვრის

№ 2 ბრძანების შინაარსი

სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხანაგმა ლ. მ. კაგანოვიჩმა 1939 წ. 27 იანვარს გამოსცა ბრძანება № 2 „ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ცალკეული პროფესიების ხელფასის გადიდებისა და მათთვის პრემიების მიცემის შესახებ“. ბრძანებაში ნათქვამია:

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 26 იანვრის დადგენილების შესაბამისად დაწესდეს 1939 წლის 1 მარტიდან:

1. იმ მუშებისათვის, რომლებიც მომსახურებას უწევენ მიწისქვეშა ტრანსპორტს, მექანიზმებსა და ამოღებას, შემდეგი პრემიალური საზღაური:

ამწე მანქანების მემანქანეებს, მეტანეებს და მათ თანაშემწეებს, მესახეურეებსა და მათ თანაშემწეებს, ტანთან მიმგორებლებსა და ზედაპირზე გამომგორებლებს ცვლის განმავლობაში შეუფერხებელი მუშაობისა და იმისათვის, რომ მათი მიზეზით არ შეფერხებულა ტანის მუშაობა, მიეცეს ცვლის პრემია განაკვეთის 30 პროცენტის რაოდენობით.

ამას გარდა, ამოღების თვიური გეგმის (ცვლების მიხედვით) 5 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის მიეცემა პრემია ძირითადი თვიური ხელფასის ან განაკვეთის 30 პროცენტის რაოდენობით და 5 პროცენტს ზევით —50 პროცენტის რაოდენობით.

ელექტროზეინკლებს, ღავის, უბნის, მაღაროს მორიგეებს ცვლის განმავლობაში უავარიო მუშაობისათვის მიეცეთ განაკვეთის 30 პროცენტი.

ამას გარდა, ამოღების ცვლის გეგმის 10 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის, მუშაობის იმ ადგილის მიხედვით, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ, და უავარიო მუშაობისას მიეცემათ პრემია განაკვეთის 50 პროცენტის რაოდენობით და 10 პროცენტს ზევით—75 პროცენტის რაოდენობით.

თუ გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ავარიებს ჰქონდა ადგილი, პრემია 50 პროცენტით შემცირდება.

მიწისქვეშა ელექტროზეინკლებს, რომლებიც მექანიზმების რემონტზე მუშაობენ, დღე-ღამის განმავლობაში ავარიების უქონლობისას მიეცემათ პრემია განაკვეთის 50 პროცენტის რაოდენობით.

ამას გარდა, ამოღების სადღეღამისო გეგმის 10 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის, მუშაობის იმ ადგილის მიხედვით, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ, უავარიო მუშაობისას მიეცემათ პრემია განაკვეთის 50 პროცენტის რაოდენობით და 10 პროცენტს ზევით—75 პროცენტის რაოდენობით.

თუ ადგილი აქვს ავარიებს, რემონტის ზეინკლებს პრემიები სრულიად არ ეძლევათ.

კონვეიერთა გადამტანებს დაწესებულ ვადაში გადატანისათვის იმ აუცილებელი პირობით, რომ დანადგარმა კარგად იმუშაოს გადატანის შემდეგ პირველი ცვლის განმავლობაში, მიეცემათ ყოველთვიური პრემია ძირითადი ხელფასის 30-40 პროცენტის რაოდენობით.

მიწისქვეშა და მიწისზედა ინტილატორების, უმფორმირების მემანქანეებსა და დახარისხების მოტორისტებს ერთი თვის განმავლობაში იმ მექანიზმების უავარიო მუშაობისათვის, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ, მიეცემათ პრემია ძირითადი სამუშაოს სატარიფო ხელფასის 20-დან 30 პროცენტამდე.

მიწისქვეშა ტუმბოების მემანქანეებს ერთი თვის განმავლობაში უავარიო მუშაობისა და გამომუშავებათა ადგილზე წყლის მოვარდნის შემთხვევების უქონლობისათვის, მიეცემათ თვიური პრემია ძირითადი სამუშაოს სატარიფო ხელფასის 30-დან 50 პროცენტამდე.

კომპრესორთა მემანქანეებს ცვლის განმავლობაში იმ მექანიზმების უავარიო მუშაობისათვის, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ, მიეცემათ პრემია ძირითადი თვიური ხელფასის ან განაკვეთის 30 პროცენტის რაოდენობით.

ამას გარდა, საწმენდ და მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის 5 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის, მუშაობის იმ ადგილის მიხედვით, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ, მიეცემათ პრემია ძირითადი სამუშაოს სატარიფო განაკვეთის 30 პროცენტის რაოდენობით და 5 პროცენტზე ზევით — 50 პროცენტის რაოდენობით.

მიწისქვეშა მეჯალამბრეებს, მეფილეებს, მექანიკურ მაზიდის გამყოლებს ცვლის განმავლობაში უავარიო მუშაობისათვის ძირითადი პრემია განაკვეთის 20 პროცენტის რაოდენობით.

გარდა ამისა, იმ სამუშაო ადგილის მიხედვით, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ, ამოღების გეგმის 10 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის მიეცემათ პრემია ძირითადი სამუშაოს სატარიფო ხელფასის 30 პროცენტის რაოდენობით და 10 პროცენტს ზევით—50 პროცენტის რაოდენობით.

გაზომზომებს 1 და მე-2 კატეგორიის მაღაროებში გაზის მხრივ ნორმალური და უხიფათო მუშაობის სანიმუშოდ უზრუნველყოფისათვის ეძლევათ პრემია ძირითადი სამუშაოს სატარიფო ხელფასის 15-25 პროცენტამდე და მე-3 კატეგორიის მაღაროებში და გაზის უეცარი გამოყოფის დროს — 20-დან 40 პროცენტამდე.

გზა-ლიანდაგის მუშაკებს იმ უბანზე, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ, ლიანდაგის სანიმუშოდ შენახვისათვის და ლიანდაგის ცუდი მდგომარეობის მიზეზით ცვლის განმავლობაში ქვანახშირის გაზიდვის დროს ავარიებისა და შეფერხების უქონლობისათვის ეძლევათ პრემია ძირითადი ხელფასის 15-20 პროცენტის რაოდენობით.

გარდა ამისა, იმ უბანზე, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ, ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და უავარიო მუშაობისას ეძლევათ ერთი თვის პრემია ძირითადი ხელფასის 30-40 პროცენტის რაოდენობით.

დაყრის პუნქტებში მტვრეველებს და კონვეიერთა მემანქანეებს ცვლის განმავლობაში კონვეიერების უავარიო მუშაობისათვის ეძლევათ პრემია განაკვეთის 30 პროცენტის რაოდენობით.

გარდა ამისა, იმ უბანზე, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ, ამოღების გეგმის 10 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის ეძლევათ ძირითადი სატარიფო ხელფასის 30 პროცენტი და 10 პროცენტს ზევით — 50 პროცენტი.

დაჭანებულ დაღმართზე ქვანახშირის გამტარებლებს, რომელთა შრომის ანაზღაურებაც პირდაპირი სანარდო სისტემის მიხედვით ხდება, სამუშაოს იმ ადგილზე, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ, ამოღების გეგმის 10 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის ეძლევათ ძირითადი ხელფასის 30 პროცენტი და 10 პროცენტს ზევით—50 პროცენტი.

უბითი ფართო სვლის მოსამზადებელ გამომუშავებათა გავლის პრაქტიკის გასავრცელებლად, 1939 წ. 1 მარტიდან დაწესდეს უფრო მაღალი საზღაური ამ სამუშაოებზე და ძირითადი შეფასების დამატებით (პროგრესიული სისტემის საზღაურის გარეშე) მიეცეთ: ა) ქვანახშირის ბრიგადებს—15 პროცენტი ამოღებულ ვაგონ ქვანახშირისათვის, ბ) ქანის ბრიგადებს — 20 პროცენტი გამომუშავების გავლის თვითეული სიგრძივი მეტრისათვის.

სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის მეტაბელეებს გამოცხადების აღრიცხვის სანიმუშო მდგომარეობისათვის მიეცეთ ერთი თვის ხელფასის 20 პროცენტამდე.

II. გაუდიდდეთ ხელფასი შემდეგი პროფესიის მუშებს:

1. ამწე მანქანების მემანქანეებს

ა) შვეულ მაღაროებში
იმ დროს, როცა ცვლაში ასაწევად დატვირთულია.

100 ტონამდე 163-193 მანეთის	ნაცვლად თვეში დაწესდეს	225 მან.
100-დან 200 ტონამდე 190-225 მან.	„ „ „	250 მან.
200-დან 300 ტონამდე 190-225 მან.	„ „ „	280 მან.
300-დან 500 ტონამდე 259-263 მან.	„ „ „	330 მან.
500 ტონის ზევით 263-300 მან.	„ „ „	400 მან.

ბ) დახრილ მაღაროებში
იმ დროს, როცა ცვლაში ასაწევად დატვირთულია

100 ტონამდე 150 მანეთის	ნაცვლად თვეში დაწესდეს	200 მან.
100-დან 200 ტონამდე 150-225 მან.	„ „ „	225 მან.
200-დან 300 ტონამდე 163-225 მან.	„ „ „	250 მან.

300-ზე მეტ ტონისათვის შრომის ანაზღაურება უნდა სწარმოებდეს ისე, როგორც შვეული მაღაროების მემანქანეებისათვის.

დამხმარე ამწე მანქანების მემანქანეებისათვის, მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა სირთულისა და მოცულობის მიხედვით, ხელფასი შეიძლება დაწესდეს 50-100 მანეთით ნაკლები, ვიდრე ძირითად ტვირთამწე მანქანათა მემანქანეებისათვის.

ამწე მანქანების მემანქანეების აღნიშნულ განაკვეთებში შეტანილია დამატებითი ხელფასი ღამის სამუშაოებისათვის.

2. მეჯალამბეებს

რომლებიც ცვლაში ამოიღებენ

100 ტონამდე 5 მან. 70 კაპ.—6 მ. 50 კაპ.	ნაცვლად დაწესდეს	7 მ. ცვლაში
100-დან 200 ტონამდე 5 მ. 70 კ.—7 მან.	„ „	7 მ. 50 კ. „
200-დან 400 ტონამდე 6 მ. 50 კ.—8 მ. 60 კ.	„ „	9 მ „
400 ტონის ზევით 7 მ. 40 კ.—9 მან.	„ „	10 მ. „

მეტანეების თანაშემწეებისთვის 5 მ., 5 მ. 30 კ., 5 მ. 70 კ. ნაცვლად დაწესდეს 6 მან. ცვლაში.

3. მესახეურეებს

რომლებიც ამოიღებენ

100 ტონამდე 5 მ. 20 კ.—5 მ. 50 კაპ.	ნაცვლად დაწესდეს	6 მ. ცვლაში
100-დან 200 ტონამდე—5 მ. 20 კ.—6 მ.	„ „	6 მ. 50 კ. „
200-დან 400 ტონამდე 6 მ.—6 მ. 50 კ.	„ „	7 მ. 30 კ. „
400-ზე მეტი ტონისათვის 6 მ. 30 კ.—7 მ.	„ „	8 მ. 50 კ. „

4. მეფილეებს

1 მუშაზე, როდესაც დატვირთვა აღწევს

75 ტონამდე 5 მ. 30 კ.—5 მ. 60 კ.	ნაცვლად დაწესდეს	5 მ. 70 კ. ცვლაში
150 ტონამდე 5 მ. 50 კ.—5 მ. 70 კ.	„ „	6 მ. 50 კ. „
150 ტონის ზევით 5 მ. 50 კ.—5 მ. 70 კ.	„ „	7 მ. „

სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხველ მეტაბელეთათვის 100-120 მანეთის ნაცვლად დაწესდეს თვიური ხელფასი 250-350 მან. (ღამის საათებში მუშაობისათვის დანამატთა ჩათვლით).

ქანის მიწისქვეშელ გადამრჩევთათვის ნაცვლად განაკვეთისა 4 მ. 40 კ.—4 მ. 60 კ. დაწესდეს 5 მ. 50 კაპ.

გარდა ამისა, ბრძანება წინადადებას იძლევა მიეცეთ პრემია უწუნო ნორმასთან შედარებით ხილვადი ქანის შემცირებისათვის (ერთი თვის განმავლობაში) ძირითადი ხელფასის 10-30 პროცენტის რაოდენობით.

სათბობი ქვაბების ცეცხლფარეშებს 95-115 მანეთის ნაცვლად დაუწესდეთ 125-140 მანეთი (ღამის საათებში მუშაობისათვის დანამატის ჩათვლით).

ძალოვან დახადგართა ცეცხლფარეშებს სათბობის ხელით მიწოდებისას თვეში 135-175 მანეთის ნაცვლად დაუწესდეთ 175-200 მანეთი თვეში (ღამის საათებში მუშაობის საზღაურის ჩათვლით).

შემოღებულ იქნას დონბასის სარეცხი და დახარისხების პუნქტების, ცენტრალური გამაუხეშებელი და საბრიკეტო ფაბრიკების მუშებისათვის (ფისმტვრეველებისა, მესეპარატორეებისა და სხვებისათვის) მათთვის არსებული სამი ათთანრიგიანი ქსელის ნაცვლად ანაზღაურება შემდეგი რვა ჯგუფის მიხედვით:

პირველი ჯგუფი	— 4 მ. 40 კ.
მეორე ჯგუფი	— 4 მ. 60 კ.
მესამე ჯგუფი	— 5 მ. 00 კ.
მეოთხე ჯგუფი	— 5 მ. 40 კ.
მეხუთე ჯგუფი	— 6 მ. 00 კ.
მეექვსე ჯგუფი	— 7 მ. 30 კ.
მეშვიდე ჯგუფი	— 8 მ. 70 კ.
მერვე ჯგუფი	—10 მ. 00 კ.

ტრესტების მმართველებმა და მაღაროების გამგეებმა ამ ბრძანების მიღებისთანავე პრაქტიკულად გაანახორციელონ ხელფასის მომატება მუშათა აღნიშნული პროფესიებისათვის და განმარტონ შრომის პრემიალური ანაზღაურების ცვლილებანი.

„ამ ბრძანების ბოლშევიკურმა გატარებამ, — აღნიშნავს დასასრულ ამხანაგი ლ. მ. კაგანოვიჩი,—უნდა უზრუნველჰყოს შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობა და ქვანახშირის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულება“.

სახალხო კომისრის ბრძანება შეთანხმებულია პროფკავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან.

(„ინდუსტრია“, 4 თებერვალი).

თესვისათვის არ ემზადებიან

გორის რაიონის სოფ. პატარა - გარეჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პლატონ მეზვრიშვილი საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. კოლმეურნეობაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თესლის გაწმენდა და იარაღ-მანქანების რემონტი. 10 გუთნიდან მხოლოდ 5 გუთანია შეკეთებული, დანარჩენი 5 კი უპატრონოდ მინდვრად ჰყრია, 11 ზიგზაგიანი ფარცხიდან შეკეთებულია 5, პურის 5 სათესის შეკეთება ჯერაც არ არის დაწყებული, 10 ურმიდან 3 სრულიად უვარგისია, ზოგიერთი კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. მაგრამ ამ სამუშაოსათვის არ ჩქარობენ.

კოლმეურნეობას 35 ცენტნერი სათესლე ქერი აქვს გამოყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ აგრონომ ვ. მახარობლიძემ მრავალჯერ მისცა მითითება კოლმეურნეობის ხელმძღვანელს—ამ თესლის გაწმენდას და კონდიციამდე დაყვანას ჯერაც არ შესდგომიან. კიდევ მეტი, ჯერ აქ თესლის ვარგისობის და აღმოცენების უნარის შემოწმებაც არ მოუხდენიათ. თესლის ნიმუშები არ გადაუგზავნიათ ლაბორატორიაში. თესლის გაწმენდაში განსაკუთრებულ დაუდევრობას იჩენენ ბრიგადირები დ. ბაბილაშვილი და შ. პაპუკაშვილი, რომლებსაც ამ საქმისათვის ჯერ მოსამზადებელი მუშაობაც არ გაუშლიათ.

უკეთესი მდგომარეობა არც კარალეთის კოლმეურნეობაშია. კოლმეურნეობას აქვს 8 სათესი მანქანა, მაგრამ მათი ვარგისიანობა არ შეუმოწმებიათ. 30 გუთნიდან შეკეთებულია 10, მაშინ, როცა კოლმეურნეობას აქვს საკეთესო სამჭედლო, სადაც შესაძლებელია არა მარტო ამ კოლმეურნეობის იარაღ-მანქანების შეკეთება, არამედ მეზობელი კოლმეურნეობებისთვის დახმარების გაწევაც.

თესვა ქარზე მომდგარია. საკ. ბ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნას კოლმეურნეები ახალი წარმატებით უნდა შეხვდნენ, გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებანი და სანიმუშოდ მოამზადონ საგაზაფხულო თესვისათვის.

ჯ. ფაჩავა

ჭრაქტორების რემონტი დამთავრდა

(საკ. კორესპონდენტისაგან).

წითელწყაროს მტს-მა (დირექტორი—მ. ერიაშვილი) ტრაქტორების საშემოდგომო - საზამთრო რემონტი ვადაზე 13 დღით ადრე დაამთავრა. შეკეთებულია 70 ტრაქტორი. სრულ წესრიგშია მოყვანილი აგრეთვე გუთნები, სათესები, კულტივატორები.

მტს-მა ფართოდ გამოიყენა გასული წლის დადებითი პრაქტიკა. რის საფუძველზე შედეგების შუალებით მოახდინა ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის აღდგენა და გამოყენება.

რემონტის ჩატარებაში განსაკუთრებით თავი ისახელა ალეში ბექაურის სარემონტო ბრიგადამ, რომელიც კარგი მუშაობისათვის გარდამავალი დროშით არის დაჯილდოვებული. ამ ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 5 ტრაქტორის ნაცვლად, ვადაზე 20 დღით ადრე და საუკეთესო ხარისხით შეაკეთა 6 ტრაქტორი

პარტიული ცხოვრება

პარტიული კრებები ჩავაყაროთ მაღალ იდეურ დონეზე

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის XXI საქალაქო კონფერენცია

საქ. ალკა თბილისის ორგანიზაციის XXI საქალაქო კონფერენციის მეორე და მესამე სხდომებზე მიმდინარეობდა კამათი საქ. ალკა თბილისის კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში გამოვიდა 38 კაცი.

კამათში გამოსული ამხანაგები მოურიდებლად აკრიტიკებდნენ საქ. ალკა თბილისის კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებს და იძლეოდნენ პრაქტიკულ მითითებებს შემდგომი მუშაობისათვის. ამხ. პ. გელაშვილმა სხვა ნაკლოვანებებთან ერთად აღნიშნა, რომ საქ. ალკა თბილისის კომიტეტის მიერ პლენუმის ყველა წევრი არ იყო ჩაბმული აქტიურ კომკავშირულ ცხოვრებაში. ამხ. რ. მორწერელიამ სამართლიანად გააკრიტიკა საქ. ალკა თბილისის კომიტეტის სუსტი მუშაობა.—საანგარიშო მოხსენება საქ. ალკა თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, —სთქვა ამხ. მორწერელიამ, — ნაკლებ კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო. მოხსენებაში არ ყოფილა მოცემული საქ. ალკა თბილისის კომიტეტის ცალკეული მუშაკების ნაკლოვანებათა კრიტიკა, აღნიშნული არ იყო, როგორ არის გაშლილი სტახანოვური მოძრაობა ახალგაზრდობაში. საქ. ალკა თბილისის კომიტეტი და კერძოდ მისი მდივანი ამხ. ჰანუყვაძე,— ამბობს ამხ. მორწერელია, — ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდა კადრების პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მიხედვით შერჩევას და შესაფერ საქმეზე დაწინაურებას. დასასრულ, ის შეჩერდა აეროკლუბის მუშაობის ნაკლოვანებებზე. ამხ. პონკრაშკინმა (№ სამხედრო ნაწილი) აღნიშნა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების განხორციელებისათვის სუსტად მუშაობენ საქ. ალკა თბილისის კომიტეტი და რაიკომები. არასაკმარისად ეწყობა თეორიული ლექციები და კონსულტაციები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი კომკავშირელთათვის და სხვ.

მოკამათეთა უმრავლესობამ სრულიად სამართლიანად გააკრიტიკა საქ. ალკა თბილისის კომიტეტის მუშაობა მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში.

4 თებერვლის საღამოს, სხდომის დასასრულ, საბოლოო სიტყვით, გამოვიდა ამხ. ჰანუყვაძე. კონფერენციამ საქ. ალკა თბილისის კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და გამოჰყო კომისია 16 კაცის შემადგენლობით პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად.

○

5 თებერვალს კონფერენციის დილის სხდომაზე განსაზღვრულ იქნა საქ. ალკა თბილისის კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობა. ამავე სხდომაზე დასახელებულ იქნენ კანდიდატები.

ვაღაზე შევასრულებთ საალმშენებლო-სარემონტო გეგმას

დანიშნულ დროზე დაიწყო თბილისის საბჭოს სამშენებლო კანტორის პარტორგანიზაციის დახურული კრება. სჩანდა, რომ კრების მომზადებისათვის პარტორგს ამხ. ე. სოვიდოვნულს საჭირო მუშაობა ჰქონდა ჩატარებული. ამხანაგების ვ. მოლოტოვის და ა. ჟდანოვის თეზისების და მათი განხილვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. გრიგორიანმა.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები ე. სოვიდოპულო, ვ. მელიქოვი, ჯ. ალიქბეროვი და სხვები ერთსულოვნად იწონებდნენ ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს, რომელიც ძირითადად მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მიერ.

სიტყვით გამოსულმა ამხ. ვ. მელიქოვმა ყურადღება შეაჩერა ამხ. მოლოტოვის თეზისების იმ ნაწილზე, სადაც ლაპარაკია საბინაო მშენებლობის შესახებ და შემოიტანა წინადადება, რათა სოცშეჯიბრების და სტახანოვური მოძრაობის გაშლის შედეგად I კვარტალის სააღმშენებლო-სარემონტო გეგმა ყრილობის მოწვევის დღისთვის — 10 მარტისათვის იქნეს შესრულებული.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში კრებამ მოიწონა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

დასასრულ კრებამ დახურული (ფარული) კენჭისყრით საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის კონფერენციის დელეგატად ერთხმად აირჩია ამხ. ა. გრიგორიანი.

ვლ. მეგრელაძე

კომუნისტების პოლიტიკური აქტივობით

ქალაქის პირველი საავადმყოფოს პარტიულმა კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა ამხ. პ. შუშანიას მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე ამხ. მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების შესახებ.

მომხსენებელმა კრებას ფართოდ გააცნო სტალინური ხუთწლედების მანძილზე ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები და ის გაგანტური ამოცანები, რომლებიც უნდა შევასრულოთ მესამე ხუთწლედში.

მომხსენებელი აგრეთვე შეეხო მესამე ხუთწლედში საავადმყოფოს მუშაობის საკითხებსაც. ქალაქის პირველი საავადმყოფო, აღნიშნა ამხ. შუშანიამ, ყველაზე დიდი საავადმყოფოა საქართველოში. მესამე ხუთწლედში ჩვენ უნდა ავითვისოთ 40 მილიონ მანეთამდე. სახელმწიფოს მიერ მოცემული თვითეული მანეთი უნდა გამოვიყენოთ ნაყოფიერად. ჩვენი საავადმყოფო უნდა გადაიქცეს საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის სანიმუშო სამკუდლოდ და, თუ გასულ წელს საავადმყოფომ 20 ათასი ავადმყოფი მიიღო და გააჯანმრთელა, წელს და მესამე ხუთწლედის დანარჩენ წლებში ჩვენ უფრო ნაყოფიერად უნდა ვიმუშაოთ.

ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმა ამხ. ნ. მამამთავრიშვილმა, კუპატაძემ, კოკოჩაშვილმა, ბახუტაშვილმა, ლებედევამ, ღვინიაშვილმა, აპოკინმა და სხვებმა.

კრებამ ფარული კენჭისყრით თბილისის 26 კომისრის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატებად აირჩია ამხ. შუშანია, ბახუტაშვილი, კოკოჩაშვილი და კოძაევა.

კ. მავზარაშვილი

პარტიული კრება კონიაკის ქარხანაში

4 თებერვალს დანიშნულ დროზე დაიწყო სამტრესტის № 4 კონიაკის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება, სადაც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე **ამხანაგ ვ. მოლოტოვისა და ამხანაგ ა. ჟდანოვის** მოხსენებათა თეზისების გამო მოხსენება გააკეთა, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. **შენგელაიამ.**

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა დიდის აღფრთოვანებით ილაპარაკეს იმ გიგანტურ მიღწევებზე, რომელიც საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

დროული და მიზანშეწონილია, — აღნიშნა ამხ. ჭელიძემ, — ამხანაგი ჟდანოვის მოხსენების თეზისებში გათვალისწინებული საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა, რომელიც გამოწვეულია სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებით. ჩვენს ქარხანაშიც არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც გუშინ მუშები იყვნენ, ხოლო ამჟამად ლენინ-სტალინის პარტიის მზრუნველობით სათანადო სასწავლებლები დაამთავრეს და საბჭოთა ინტელიგენტები გახდნენ. მათ სურთ შევიდნენ ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში მაგრამ ზოგ შემთხვევაში მათ უჭირთ იშოვნონ იმ რაოდენობისა და სტაჟის მქონე რეკომენდატორები, რამდენიც მოსამსახურეებისათვის არის დაწესებული. ახლა კი როდესაც შემოღებული იქნება კანდიდატობიდან პარტიის წევრად მიღების ერთიანი წესი, ჩვენს პარტიას კიდევ მეტი რაოდენობის ერთგული ადამიანები შეემატებიან.

პირველი და მეორე ხუთწლედების წარმატებით შესრულების შედეგად დიდად გაუმჯობესდა საბჭოთა კავშირში მშრომელი ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, — აღნიშნა ამხანაგმა ოსოშვილმა, — ხოლო ის უდიდესი პროგრამა, რომელიც დასახულია ამხ. მოლოტოვის თეზისებში, კიდევ უფრო გააუმჯობესებს საბჭოთა კავშირის მშრომელების საყოფაცხოვრებო პირობებს. საჭიროა დაუღალავად ვიბრძოლოთ ჩვენს ქარხანაში გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და მით ერთსულოვნად დაუჭიროთ მხარი ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებს. მართალია, ჩვენმა ქარხანამ გეგმა 130 პროცენტით შეასრულა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თუ სამტრესტი ნედლი მასალით დროულად მოვამარაგებს, ჩვენ ყოველგვარი საშუალება გვექნება, გეგმა 200 პროცენტით შევასრულოთ. საჭიროა მოვისთხოვოთ სამტრესტის ხელმძღვანელობას დროულად მოგვამარაგოს ნედლი მასალით.

მოხსენების გარშემო კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მთლიანად მოწონებულ იქნა ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

სამტრესტის კონიაკის ქარხნის პირველადმა პარტიულმა კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია ამხ. **აკოფაშვილი** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის XIX კონფერენციის დელეგატად გადამწყვეტი ხმის უფლებით. (საქდესი).

თეზისები მოიწონეს

თბილისის არტელ „ფანერის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორმა ამხ. კუხალეიშვილმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა პარტიული კრების მოსამზადებლად. კომუნისტებს წინასწარ წაუკითხა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები, პარტიის წევრებსა და კანდიდატებს აძლევდა აცნობა პარტიული კრების მოწვევის დრო და დღის წესრიგი.

პარტიული კრება დანიშნულ დროზე დაიწყო. კომუნისტები უკლებლივ გამოცხადდნენ კრებაზე. ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვის შესახებ მოსმენილ იქნა ამხ. შ. კუხალეიშვილის მოხსენება.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა რუსიშვილმა, ტაბატაძემ, გაგვიშვილმა და სხვებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები და აიღეს ვალდებულება, რომ XVIII ყრილობას შეხვდებიან ახალ-ახალი წარმატებებით.

ამავე კრებაზე ლენინის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლად ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა ერთი დელეგატი.

პარტკაბინეტმა მიიღო სათანადო ზომები

გაზეთ „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო წერილი „რატომ ჩაიშალა კრება“. როგორც საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი გვატყობინებს, რაიკომის ბიურომ დროულად განიხილა მეცხოველეობის ინსტიტუტის პარტორგანიზაციის კრების ჩაშლის საკითხი და ამხ. გელაშვილს დაადო სათანადო სასჯელი კრებაზე მოუმზადებლად გამოცხადებისათვის. პარტორგანიზაციის კრება ჩატარდება 7 თებერვალს.

ღია წერილი მხატვარ ა. ტიხომიროვს

მე მივიღე **მხატვარ** ა. ტიხომიროვის წერილი, რომლის შინაარსი სრულებითაც არ ატარებს პირად ხასიათს, არამედ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს: იგი ეხება პლეხანოვის, როგორც ხელოვნების საფუძველთა განმმარტებლის, სწორად გაგების საკითხს. მომყავს ამხ. ა. ტიხომიროვის წერილი:

„როდესაც დავბრუნდი თქვენი მოხსენებიდან რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისა და ნაროდნიკობასთან „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის ბრძოლის შესახებ, მოხსენებიდან, რომელიც ჩვენთვის ფრიად საინტერესო იყო, სახლში ვიპოვნე და წავიკითხე 1939 წლის 10 იანვრის № 5 გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვოში“ მოთავსებული სტატია „მარქსიზმის კლასიკოსები ხელოვნების წარმოშობის შესახებ“.

მოხსენებიდან მე წავედი პატივისცემის გრძნობით იმ მარქსისტული მუშაობისადმი, რომელიც პლეხანოვმა შეასრულა.

როგორც თანდართული ამონაწერიდან ხედავთ, გ. ვ. პლეხანოვი მეტისმეტად ულამაზოდ არის წარმოდგენილი,—არა მარტო როგორც ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო მარქსისტი, არამედ ჩაყენებულია ბურუაზიული ხელოვნებათმცოდნეების სულ უკანა რიგებში.

ვიცნობ რა პლეხანოვის შრომებს ხელოვნებათმცოდნეობის დარგში მის თხზულებათა კრებულის მხოლოდ XIV ტომის მიხედვით, ვეჭვობ, სულ ცოტა რომ ვთქვა, ვეჭვობ, რომ პლეხანოვი როდისმე იზიარებდა იმ მტკიცებებს, რომლებსაც მას მიაწერს ხელოვნების ჩვენი ერთადერთი გაზეთის კონსულტაცია. თამაშის თეორიას იგი დიდ პოლემიკას უმართავს, ისევე როგორც გროსეს (გვ. 54, 59 და სხვ.).

მე ისიც კი მგონია, რომ ამ ტომში მოთავსებულ მის სტატიებში ბრწყინვალედ არის გამოხატული საწინააღმდეგო თვალსაზრისი.

ვბედავ და გთხოვთ განმარტებას ამ საკითხზე, ვინაიდან მე არ ვიცნობ კრიტიკულ ლიტერატურას პლეხანოვის შრომებზე ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, ხოლო XIV ტომში მოთავსებული მისი სტატიებით („უმისამართო წერილები“ და განსაკუთრებით „XVIII საუკუნის ფრანგული დრამატიული ლიტერატურისა და ფრანგული ფერწერის შესახებ“, აგრეთვე „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“), უნდა გამოვტყდე, ყოველთვის გატაცებული ვყოფილვარ“.

ამხ. ტიხომიროვის შეკითხვა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: **სწორია თუ არა გ. ვ. პლეხანოვის მიკუთვნება მარქსიზმის ვულგარიზატორებისადმი ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, ბრალი მიუძღვის თუ არა** პლეხანოვს ზერელე, პრიმიტიულ, ვულგარულ სოციოლოგიზმში,—როგორც ანას მიაწერს მას ლ. ფრეიდკინა?

კერძოდ ლ. ფრეიდკინა გ. პლეხანოვს ბრალს სდებს იმაში, რომ იგი იმეორებს გროსეს თეორიას ხელოვნების წარმოშობის შესახებ **თამაშიდან.** პლეხანოვის შეცდომას ლ. ფრეიდკინა ხსნის იმით, რომ პლეხანოვს არასწორად ჰქონდა წარმოდგენილი ობიექტური სამყაროს ასახვა ადამიანის ცნობიერებაში.

დავიწყოთ უკანასკნელით. 1892 წელს პლეხანოვმა სთარგმნა ფ. ენგელსის შრომა: „ლუდვიგ ფეიერბახი“. ამ შრომის შენიშვნებში მან დაუშვა არაზუსტი ტერმინოლოგია. გამოვიდა თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის შეგრძნებები და წარმოდგენები წარმოადგენენ არა ნამდვილი საგნებისა და ბუნების პროცესების ასლებს, არა მათ გამოსახულებას, არამედ პირობით ნიშნებს, სიმბოლოებს, იეროგლიფებს და სხვ. ემპირიოკრიტიკოსებმა შემდეგში ხელი ჩასჭიდეს პლეხანოვის ამ შეცდომას, თუმცა **თვით პლეხანოვმა ეს შეცდომა გამოასწორა უკვე 1905 წელს;** ენგელსის „ლ. ფეიერბახის“ მეორე გამოცემაში პლეხანოვი სწერდა: „ჩვენი ფილოსოფიური მოწინააღმდეგეების მიმართ არ უნდა დაუშვათ ისეთი ტერმინოლოგიური დათმობანი, რომელნიც ხელს გვიშლიან სავსებით ზუსტად გამოვხატოთ ჩვენი საკუთარი აზრები. ამას მე კიდევ იმიტომ ვამბობ, რომ ენგელსის ამ ბროშურის ჩემი თარგმანის პირველი გამოცემის შენიშვნაში მე თვითონ ჯერ კიდევ საკმაოდ ზუსტად ვერ გამოვთქვამდი აზრებს და მხოლოდ შემდეგ ვიგრძენი ასეთი არასიზუსტის ყველა უხერხულება“.

მაშასადამე, არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ „იეროგლიფების“ თეორია არის პლეხანოვის შემეცნების თეორიის ძირითადი, დამახასიათებელი ნიშანი მას შემდეგ, რაც თვით პლეხანოვმა ჯერ კიდევ 1905 წელს აღიარა ეს თეორია შემცდარად და უარჰყო იგი.

მაგრამ სწორია თუ არა, რომ პლეხანოვი აკრიტიკებს ხელოვნების წარმოშობის სხვადასხვა თეორიებს არა მარქსისტული, არამედ „ვულგარულ - სოციოლოგიური პოზიციებიდან“? — ლ. ფრეიდკინა ხომ სწორედ ამას ამტკიცებს, და ამ მტკიცების სისწორეში, ჩემი აზრით, არა უსაფუძვლოდ ეჭვი შეაქვს ა. ტიხომიროვს.

ავიღოთ ხელოვნების განსაზღვრა, რომელიც მოგვცა პლეხანოვმა „უმისამართო წერილებში“. ხელოვნება გამოხატავს ადამიანთა გრძნობებსაც და აზრებსაც არა განყენებულად, არამედ ცოცხალ სახეებში. ხელოვნება „იწყება მაშინ, როდესაც ადამიანი კვლავ იწვევს თავისში გრძნობებსა და **აზრებს**, რომლებიც მან განიცადა მისი გარემომცველი სინამდვილის გავლენით, **და აძლევს მათ ერთგვარ სახოვან გამოხატულებას...** ხელოვნება სოციალური ზოგადობრივი მოვლენაა“.

სწორია თუ არა ეს განსაზღვრა, არის თუ არა მასში ვულგარული სოციოლოგიზმის თუნდაც ნასახი? ეს განსაზღვრა სწორია. ყოველ მარქსისტს შეუძლია ამაზე ხელი მოაწეროს. მასში არ არის ხსენებაც კი ცხოვრების **ყველა მოვლენის** ვულგარული დაყვანისა ეკონომიკამდე. მაგრამ პლეხანოვი უცილოდ ადგას **მარქსისტულ თვალსაზრისს,** როდესაც აცხადებს:

„ყოველი მოცემული ხალხის ხელოვნება, ჩემი აზრით, ყოველთვის უმჭიდროეს კავშირშია მის ეკონომიკასთან“. (გ. ვ. პლეხანოვი. თხზ. ტ. XIV, გვ. 36).

შემდეგ ბიუხერი და გროსე ადგენენ იმ თვალსაზრისს, რომ „თამაში შრომაზე უხნესია, ხოლო ხელოვნება სასარგებლო საგნების წარმოებაზე უხნესია“. მოჰყავს რა ეს დასკვნა, პლეხანოვი სწერს: „თუ თამაში მართლაც შრომაზე უხნესია და თუ ხელოვნება მართლაც სასარგებლო საგნების წარმოებაზე უხნესია, მაშინ ისტორიის მატერიალისტური ახსნა, ყოველ შემთხვევაში იმ სახით, როგორიც მისთვის მიუცია „კაპიტალის“ ავტორს, **ვერ უძლებს ფაქტების კრიტიკას,** და მთელი ჩემი მსჯელობა დაყენებულ უნდა იქნას ყირაზე: მე უნდა ვიმსჯელო ეკონომიკის დამოკიდებულებაზე ხელოვნების, და არა ხელოვნების დამოკიდებულებაზე ეკონომიკისაგან“ (ტ. XIV, გვ. 55).

პლეხანოვის ყველა შემდგომი მსჯელობა და არგუმენტი მიმართულია იქითკენ, რომ დაამტკიცოს, რომ **შრომა** წინ უსწრებს თამაშს. პლეხანოვი ამტკიცებს, რომ ბიუხერი შეცდომაში შეიყვანა კარლ გროსეს თამაშის თეორიამ. პლეხანოვი აკრიტიკებს გროსეს თეორიას, როგორც არასწორს, და კვლავ მიდის დასკვნამდე, რომ „საზოგადოების ცხოვრებაში შრომა **თამაშზე** უხნესია“ (იქვე, გვ. 61). პლეხანოვი ესსამე „უმისამართო წერილს“ ამთავრებს დასკვნით:

„...მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ სრულებით ვერაფერს ვერ გავიგებთ პირველყოფილი ხელოვნების ისტორიაში, თუ არ გავიმსჭვალებით იმ აზრით, რომ **შრომა ხელოვნებაზე უხნესია, და რომ** საერთოდ **ადამიანი თავდაპირველად უყურებს საგნებსა და მოვლენებს** უტილიტარული თვალსაზრისით და მხოლოდ შემდეგ ადგება ესტეთიკურ თვალსაზრისს, მათდამი თავის დამოკიდებულებაში“ (იქვე, გვ. 73).

ხელოვნების წარმოშობაზე პლეხანოვის ეს თვალსაზრისი არის თუ არა სავსებით მატერიალისტური, მარქსისტული? — უცილობლად არის. აქვს თუ არა მას რაიმე საერთო გროსეს, ბიუხერის „თამაშის თეორიის“ დაცვასთან? — თქვენ ხედავთ, რომ პლეხანოვის თვალსაზრისი პირდაპირ ეწინააღმდეგება გროსეს, ბიუხერის „თამაშის თეორიას“. მაშ რა საფუძველი ჰქონდა ლ. ფრეიდკინას ეს თეორია პლეხანოვისათვის მიეწერა? მხოლოდ ერთი — **პლეხანოვის სრული უცოდინარობა, სურვილის უქონლობა, შეესწავლა იგი ისე, როგორც ამას გვირჩევდა ლენინი,** როდესაც სწერდა, რომ **არ შეიძლება** იყო განათლებული მარქსისტი, **თუ არ შეისწავლი** პლეხანოვის ფილოსოფიურ შრომებს. ამხ. ფრეიდკინას ლენინისათვის რომ დაეკვირვებინა, იგი არ დაუშვებდა ასეთ შეცდომას, პლეხანოვის დიალექტიკურ მატერიალიზმს არ ჩარიცხავდა ვულგარული სოციოლოგიის ხარისხში.

ახლა თქვენ ხედავთ, რომ „იეროგლიფების“ თეორიაც, რომელიც თვით პლეხანოვმა უარჰყო, აქ ტყუილად როდია მოჩმახული.

სამწუხაროდ, მე შესაძლებლობა არა მაქვს უფრო დაწვრილებით გიპასუხოთ ამ საკითხზე. პლეხანოვს დაწერილი აქვს მთელი რიგი წიგნები ხელოვნების საკითხზე. ყველაფერი, რაც პლეხანოვს ხელოვნებაზე დაუწერია, არ არის თანაბარი ფასის მქონე და ყველაფერი არ არის სწორი. მაგრამ პლეხანოვის ყველა შეცდომების დროს პოლიტიკის დარგში, სწორი არ იქნება მივაწეროთ პლეხანოვს ბიუხერის ვულგარული, არათანმიმდევრული მატერიალიზმის დაცვა, ვინაიდან სწორედ პლეხანოვს ეკუთვნის ამ ვულგარული, არათანმიმდევრული მატერიალიზმის ბრწყინვალე კრიტიკა.

ემ. იაროსლავსკი

„სოვეტსკო ისკუსტვო“ 30/I № 5.

აზერბაიჯანელი მწერლები ს. გ. შევჩენკოს იუბილესათვის

ბაქო, 3 თებერვალი (საქდესი). აზერბაიჯანის საზოგადოებრივობა ემზადება ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავისათვის.

თებერვლის დამლევს აზერბაიჯანულ ენაზე პირველად გამოვა დიდი უკრაინელი პოეტის ნაწარმოებთა კრებული. პოეტებმა სამედ ვურგუნმა, რასულ რზამ, სულეიმან რუსტამმა და სხვებმა უკვე ჩაბარეს სახელმწიფო გამომცემლობას შევჩენკოს პოემებისა და ლექსების თარგმანები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი გამოსცემს შევჩენკოს საიუბილეო კრებულს, რომელშიაც გამოქვეყნებული იქნება სტატიები უკრაინელი ხალხის შესანიშნავი მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

თბილისი. მარჯვნიშვილის თეატრის პარტორგი ამხ. მ. სარჭისოვი (მარცხნივ) პარტიის ისტორიის შესახებ კონსულტაციას უწევს (მარცხნიდან მარჯვნივ) ბ. გამრეკელს (მსახიობი), მ. აბჟანდაძეს (მხატვარი), ს. გომელაურს (მსახიობი) და შ. გომელაურს (რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი). საქდესის ფოტოქრონიკა

რ. მურცხვალაძე საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მდივანი

ვზაირდოთ ბოლშევიკთა პარტიის სახელოვანი რიგები

საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობაზე საუკეთესო სტალინელმა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ** რაიონულ კომიტეტებს სამართლიანად მიუთითა იმაზე, რომ პარტიის რეზერვებთან მუშაობა და პარტიის რიგებში მოწინავე ადამიანების მიღების საქმე სუსტად იყო დაყენებული. ეს მითითება პირდაპირ შეეხებოდა ამბროლაურის რაიონს.

საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელმძღვანელობდა რა საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ბერიას მითითების შესაბამისად სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების საქმეს გაუმჯობესებას.

ამბროლაურის რაიკომმა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარების შემდეგ პარტიის რიგებში მოწინავე ადამიანები მიღებისათვის ენერგიული მუშაობა გააჩაღა. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში პარტიის რიგებში მიღებულია 281 კაცი, მათგან პარტწევრობის კანდიდატად — 208; გადარიცხულია პარტკანდიდატობიდან წევრად 73. პარტიაში ახლად მიღებულთაგან კომკავშირელია 174 ამხანაგი. შედარებით ნაკლებია პარტიაში ახლად მიღებულთა შორის ქალთა რაოდენობა, სულ 30 ქალი. ეს ამხანაგები პარტიის ერთგულნი, სოციალისტური შრომის მოწინავე ადამიანები არიან. ასე, მაგალითად, მადნის გამომწვავი ღუმელის მუშა პლატონ ნიკოლოზის-ძე ჩალაძე 180 პროც. ასრულებს გამოწვის გეგმას, პლატონ რეხვიაშვილი, რომელიც კანდიდატობიდან წევრად გადაირიცხა, 170 პროც. ასრულებს სამუშაო გეგმას. ასევე წარმატებით მუშაობენ პ. მაისურაძე, პ. ჯელაძე და სხვ.

პარტიაში ახალმიღებულთაგან მრავალია კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგადირი, მოანგარიშე, აგრონომი, ექიმი, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი და სხვ.

იმ ამხანაგებმა, რომლებიც ახლახან იქნენ მიღებული პარტიაში, გაიარეს საზოგადოებრივი მუშაობის საკმაო სკოლა თანამგრძნობთა ჯგუფებში და კომკავშირის ორგანიზაციებში; მათ სათანადო გამოცდილება აქვთ მოპოვებული პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში.

პირველადმა პარტორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს პარტიის წევრობის სტაჟგადაცილებული კანდიდატების გადარიცხვას საქ. კ. პ. (ბ) წევრად. ასე, მაგალითად: ქვემო ზნაურის საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ წევრად გადარიცხა ქსენია მიქიაშვილი (პარტკანდიდატი 1928 წ.). რაიაღმასკომის პარტორგანიზაციამ პარტწევრად გადარიცხა სეით ბაგოშიძე (აგრონომი) — პარტკანდიდატი 1929 წლიდან და ა. შ.

პარტიაში ახლად მიღებულთაგან მრავალია მოწინავე კოლმეურნე. მაგალითად: სამელის კოლმეურნეობის წევრი ამხ. მიხეილ მუსერიძე გეგმებს ასრულებს 200 პროცენტით, სოფელ ხვანჭკარის კოლმეურნეობის წევრი სერაფიონ ლუხუტაშვილი, რომელიც ამჟამად პარტწევრობის კანდიდატობიდან წევრად გადაირიცხა, ვაზის სხვლის გეგმას ასრულებდა 178 პროცენტით, ნერგის გაშენების გეგმას—200 პროცენტით, ვენახის შეწამვლისას — 180 პროც.

რაიონის ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში საგრძნობლად გააუმჯობესა პარტიის რეზერვებთან მუშაობა და პარტიის რიგებში მიღების საქმე. დავასახელოთ რამდენიმე ფაქტი: ხოტევის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ (პარტორგი — ამხ. ვ. გოცირიძე) ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების შემდეგ პარტიის რიგებში მიიღო 13 კაცი, რაიაღმასკომის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი—ვ. მოდებაძე)—24, აბანოეთის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტორგი — ლ. გურგენიძე)—18, სამელეის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ (პარტორგი—ა. კობახიძე) 19 კაცი და ა. შ.

ასეთი სერიოზული მუშაობის ჩატარება ჩვენ იმის შემდეგ შევძელით, როდესაც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის უშუალო დახმარებით რაიონში გამომჯღავნებულ იქნენ ხალხის დაუძინებელი მტრები, რომლებიც წინათ აქ იყვნენ მოკალათებული და განგებ აფერხებდნენ პარტიის რიგების ზრდის საქმეს.

საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიონულმა კომიტეტმა უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და პირადად ამხ. ბერიას მითითებებით შეაიარაღებულმა, გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები პარტიული მუშაობის უკეთ წარმართვისა და პარტიის წევრობის კანდიდატებთან და თანამგრძნობებთან პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ასე, მაგალითად, ოქტომბერში ჩატარებულ იქნა ერთიული კომუნისტების, პარტიაში ახლად მიღებულთა და პარტიის რიგებში აღდგენილი კომუნისტების სარაიონო თათბირი; თათბირზე განხილულ იქნა პარტიულ - მასობრივი მუშაობის საკითხები.

სექტემბერში ჩავატარეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომის მდივნების, პარტორგების, მათი მოადგილეებისა და საკანდიდატო და პარტკომკავშირული ჯგუფების ხელმძღვანელების სარაიონო კრება რაიონის აქტივთან ერთად. ამ კრებაზე მოსმენილ იქნა სოფ. კაჩაეთის, ხვანჭკარის და ახალქ სოფლის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტორგების მოხსენებები პარტიულ - მასობრივი მუშაობის შესახებ; აგრეთვე ჩატარდა პარტკანდიდატების სარაიონო თათბირი საერთაშორისო მდგომარეობისა და სხვა საკითხების განხილვით. ამ უკანასკნელ დროს მოვიწვიეთ პარტკომის მდივნების, პარტორგების, საკანდიდატო და პარტკომკავშირული ჯგუფების ხელმძღვანელთა ორდღიანი კურს - კონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) რიგებში ახალ წევრთა მიღების, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად ახალ შემსვლელთა საწესდებო კატეგორიაზე მიკუთვნების, ყოველთვიური სტატანგარიშის რაიკომში წარდგენის წესის და პარტიის რიგებში ახლად მისაღები ამხანაგების საბუთების გაფორმების საკითხები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ღონისძიებათა გატარებას შედეგად მოჰყვა პარტიული ორგანიზაციების რიცხვობრივი ზრდა, აგრეთვე პარტიული მუშაობის შედარებით გაუმჯობესება. მაგალითად, ხვანჭკარის საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციამ (პარტორგი—ვ. სარდანიშვილი) ყველა თავისი წევრი ჩააბა პარტიულ მუშაობაში, ყველა კომუნისტს მიეცა დავალება და სისტემატურად ამოწმებენ ამ დავალებათა შესრულების საქმეს. პარტკანდიდატად მიიღეს 7

რუზველტის განცხადება

ვაშინგტონი, 4 თებერვალი (საკდესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი კატეგორიულად უარჰყოფდა პრესის ცნობას იმის შესახებ, რომ სენატის სამხედრო საქმეთა კომისიის წევრებთან თათბირზე მან განაცხადა, თითქოს „ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარი საფრანგეთშია“. ეს ცნობები, განაცხადა რუზველტმა, „თავიდან ბოლომდე სიცრუეა“. იგი გაავრცელეს იზოლაციონისტებმა, რომელნიც უკვე ემზადებიან პრეზიდენტის 1940 წლის არჩევნების კამპანიისათვის. რუზველტმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი უცხო სახელმწიფო“ აქტიურად უჭერს მხარს იზოლაციონისტთა ამ ცდებს იმ მიზნით, რომ არევ-დარევა და განხეთქილება შეიტანოს ამერიკის საზოგადოებრივ აზრში. შემდეგ რუზველტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი საგარეო პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა პოზიციას იწონებენ „ზოგიერთი მთავრობანი, რომელნიც ხალხთა დამოუკიდებლობის წინაალმდეგნი არიან“.

რუზველტმა უარი სთქვა ეცნობებინა სენატის სამხედრო საქმეთა კომისიის წევრებთან მისი საიდუმლო თათბირის დეტალები. მაგრამ მან განაცხადა, სენატის კომისიის წევრებს ვაცნობე, რომ საფრანგეთს განზრახული აქვს ნაღდი ფული გადაიხადოს მის მიერ შესყიდულ თვითმფრინავებში და რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრო არ აფინანსებს ამ შესყიდვას. რუზველტმა განსაკუთრებით მკაცრად დაჰგმო „გაზეთების მესაკუთრენი“ და მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგენი. რომელნიც ცდილობენ შესცვალონ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა.

პრესის წარმომადგენლებთან ამ საუბრის შემდეგ თეთრმა სახლმა (პრეზიდენტის რეზიდენცია) გამოაქვეყნა რუზველტის შემდეგი განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესახებ: „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა არ შეცვლილა და არც შეიცვლება შემდეგში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა წინააღმდეგია ყოველგვარი კავშირებისა სხვა ქვეყნებთან, მაგრამ იგი მხარს უჭერს ვაჭრობას მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის. მთავრობა აგრეთვე მხურვალედ უჭერს მხარს შეიარაღების შეზღუდვის ყოველგვარ ცდას. ამერიკის ხალხი მიეხალმება ყველა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას და მათ შორის მშვიდობიანობის შენარჩუნებას“.

„მარცხი“.

ფოტო-ეტიუდი ი. რიმკოვისა

ქართული ცეკვის ანსამბლის გასტროლიორობა

ერთი წლის წინათ ორდენოსანმა მოცეკვავემ ი. სუხიშვილმა ჩამოაყალიბა ქართული ცეკვის ანსამბლი, რომლის შემადგენლობაში უმთავრესად ახალგაზრდა მოცეკვავეები შედიოდნენ.

ამჟამად ანსამბლი საკმაოდ გაიზარდა. ახალგაზრდა მოცეკვავეებმა კარგად ითვისეს ქართული ნაციონალური ცეკვების ტექნიკა. ანსამბლი ხშირად აწყობს კონცერტებს საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებში, სადაც მათი გამოსვლები დიდი ინტერესით მიმდინარეობენ.

გარდა ქართული ნაციონალური ცეკვებისა, ანსამბლის რეპერტუარში შედის რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა ნაციონალური ცეკვები. შესანიშნავ ცეკვებს შორის აღსანიშნავი არიან თვით ანსამბლის ხელმძღვანელი ი. სუხიშვილი, ნ. რხილაძე, ა. ჩახავა, კ. ლილაძე, გ. ბატარაია, შ. კორდოლაშვილი, მ. გეწაძე, კ. ლანდია და სხვ.

„მთაგრეხილზე“

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი მორიგ პრემიერად ამზადებს ს. მთვარაძის პიესას—„მთაგრეხილზე“.

პიესა მზადდება ორი შემადგენლობით.

დადგმა ეკუთვნის რეჟისორ დ. ალექსიძეს, მხატვრული გაფორმება—დ. თავაძეს, მუსიკა—ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ ვ. გოკიელს.

მთავარ როლებში მონაწილეობენ სსრკ სახალხო არტისტი ორდენოსანი აკაკი ვასაძე და დამსახურებული მსახიობი ორდენოსანი დ. მჟავია (პროფ. საჩინო), ორდენოსანი მ. გელოვანი და ლ. ყაზაიშვილი (პროფ. ნუგზარი), ორდენოსანი გ. საღარაძე და შ. გიგაური (როდამი), კ. ვადაჭკორია და გაგუა (ვეფხო), ნ. ლაჩაები და ა. თოიძე (ლილი), ზ. მაჩაბელი და გ. კიკნაძე (საამი), მ. ჩიხლაძე და ბ. წულაძე (ჯუმრხა), გ. ასტაშვილი და ალ. აფხაიძე (ახალგაზრდა მთიელი), ლ. ვაჩნაძე და ბ. ლაღიძე (შუქია), ნ. მესხიშვილი და ნ. მანჯგალაძე (მანანო), თ. თარხნიშვილი და მ. კანდელაკი (ცისთვალა), ო. დადიანი და გ. ბეჟუაშვილი (ბერდო) და სხვ.

საქმესის გასწორება

ტელეგრაფით გადმოცემის დროს ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებში დაშვებულია შეცდომები.

მოხსენების მეორე კარის მე-15 პუნქტის ბოლო უნდა იკითხებოდეს:

2,3 ჯერ გადიდდეს მიმღები რადიოსატრანსლაციო წერტილების რაოდენობა. მთელ რიგ დიდ ქალაქებში აიგოს სატელევიზიო ცენტრები.

მეოთხე კარის პუნქტი 1 „დ“ იკითხებოდეს:

დ) კოლმეურნეთა შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის აღმავლობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების შედეგად.

საჩრანგეთის რეაქცია ემზადება ფრანკოს ცნობისათვის

პარიზი, 4 თებერვალი (საკდესი). საფრანგეთის ოფიციოზური სააგენტო ჰავასი დიდ ყურადღებას აქცევს საფრანგეთის სენატორის ლეონ ბერარის ბურგოსში ყოფნას. სააგენტო აცხადებს, რომ ბერარსა და ესპანეთის მეამბოხეთა ხელისუფლების შორის უკვე სწარმოებს მოლაპარაკება სხვადასხვა საკითხებზე.

სააგენტო აცხადებს, რომ „საკითხი ბურგოსში საფრანგეთის ოფიციალური წარმომადგენლობის შესახებ გადაწყვეტილი იქნება უფრო გვიან, ამ საკითხის მთავრობის მიერ განხილვის შემდეგ“.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების წინ

პარიზი, 4 თებერვალი (საკდესი). საფრანგეთის მთავრობამ დეპუტატთა პალატისა და სენატის პრეზიდიუმებთან შეათანხმა რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად ნაციონალური კრების (დეპუტატთა პალატისა და სენატის გაერთიანებული სხდომა) მოწვევის თარიღი. რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტის ლებრენის რწმუნებათა ვადა გადის ა. წ. 10 მაისს; მისი მემკვიდრე არჩეულ უნდა იქნას ამ ვადამდე ერთი თვით ადრე. ჰფიქრობენ, რომ ნაციონალური კრება მოწვეულ იქნება 6 აპრილს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის მოსალოდნელ კანდიდატებად ასახელებენ პალატის თავმჯდომარეს ედუარდ ერიოს, სენატის თავმჯდომარეს ჟანენეს, მთავრობის ახლანდელ მეთაურს დალადიეს, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ბერანჟეს და სხვ.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 4 თებერვალი (საკდესი). გუშინ დილიდან დეპუტატთა პალატაში განახლდა 30 ნოემბრის გაფიცვის იმ მონაწილეთათვის ამნისტიის გამოცხადების საკითხის განხილვა, რომლებიც მსჯავრდადებული არიან სასაზრთლო ინსტანციების მიერ და რომლებსაც სხვადასხვაგვარი ადმინისტრატიული სასჯელი დაედოთ.

სოციალისტმა დეპუტატმა პოლეღმა მოიყვანა იმის მთელი რიგი მაგალითები, როდესაც სასტიკად უსწორდებოდნენ გაფიცულ მუშებს. ბევრი მათგანის წინააღმდეგ სასამართლოებმა ძალიან მკაცრი განაჩენები გამოიტანეს. პოლენი მოითხოვდა, რომ მთავრობამ ხელი არ შეუშალოს საყოველთაო ამნისტიის კანონის მიღებას.

30 ნოემბრის გაფიცვის მონაწილეთათვის სრული ამნისტიის გამოცხადებას დაეწინებით მოითხოვდა თავის გამოსვლაში კომუნისტი დეპუტატი მონმუსო. მან განაცხადა, რომ კომპარტია გადაჭრით იცავდა მიაღწიოს ამ ამნისტიას. დეპუტატთა პალატის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი 30 ნოემბრის მარტენსის აკადემიკოსად დანიშვნამ ძლიერი მღელვარება გამოიწვია მთელს ქვეყანაში, კერძოდ, სამხედრო პირთა და ომის ყოფილ მონაწილეთა შორის. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტში დაისვა სპაააკის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი.

3 თებერვალს ბრბომ, რომელიც სპააკს მისი სახლის მახლობლად უცდიდა, სცემა მას. (საკდესი).

ინფლაცია გერმანიაში

ლონდონი, 4 თებერვალი (საკდესი). „დეილი ექსპრესის“ ფინანსური მიმომხილველი სწერს, რომ რაიხსბანკის ახალი თავმჯდომარის ფუნკის ღონისძიებათა შედეგად გერმანია შეუჩერებლივ მიდის ამკარა ინფლაციისაკენ.

ტრიალში მყოფი ჭაღალდის ფულის საერთო რაოდენობამ ამჟამად მიაღწია სარეკორდო ციფრს,—სახელდობრ—826 მილიონ გირვანქა სტერლინგს, რაც 39 პროცენტით აღემატება 1938 წლის იმავე პერიოდის ციფრს. რაიხსბანკის ოქროს მარაგი და სავალუტო რეზერვები მკვეთრად შემცირდა და ამჟამად 6,5 მილიონ გირვანქა სტერლინგზე ნაკლებია. ლონდონის შავ ბირჟაზე უკანასკნელი კვირეების განმავლობაში დიდი რაოდენობით გამოაქვთ გერმანული მარკები.

ჟურნალი „ეკონომისტი“ აღნიშნავს გერმანული მარკის კურსის მკვეთრად დაცემას ლონდონის შავ ბირჟაზე. იმ დროს, როდესაც გირვანქა სტერლინგის ოფიციალური კურსი 11,65 მარკას უდრის, ლონდონის შავ ბირჟაზე გირვანქა სტერლინგში ფაქტიურად 42-52 მარკას აძლევენ.

ბრძოლა დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტისათვის ინგლისში

ლონდონი, 4 თებერვალი (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის აღმასკომმა ყველა საოლქო და საუბნო ორგანიზაციას დაუგზავნა მიმართვა, რომლითაც წინადადებას აძლევს დაჰგმონ კრიპსი იმისათვის, რომ მან ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდა. ამ მიმართვასთან დაკავშირებით, ინგლისის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც სასტიკად ჰგმობს ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის საქციელს და აცხადებს, რომ ეს პოლიტიკა, რომელსაც აღმასკომი ატარებს, მიმართულია იქითკენ, რათა გასთიშოს მუშათა კლასი და ამით გზა გაუკაფოს ფაშიზმს ინგლისში.

ლეიბორისტული ორგანიზაციები კვლავ გამოსთქვამენ თავის აღშფოთებას აღმასკომის პოზიციის გამო. ბელპერის (დერბის საგრაფო) ლეიბორისტულმა ორგანიზაციამ — იმ რაიონის ყველაზე დიდმა ორგანიზაციამ, რომლის წარმომადგენელიც არის ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის ახლანდელი თავმჯდომარე დალტონი, ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს პარტიიდან კრიპსის გარიცხვის წინააღმდეგ და მოითხოვს კრიპსის წინადადების დაუყოვნებლივ განხილვას.

აღმასკომის პოზიციის წინააღმდეგ უამრავი პროტესტები, რომლებიც ადგილობრივ ლეიბორისტული ორგანიზაციებიდან მოდის, ჰმოწმობენ, რომ სულ უფრო-დაუფრო მატულობს მღელვარება ლეიბორისტული პარტიის რიგებში, რაც იმით არის გამოწვეული, რომ აღმასკომი წინააღმდეგობას უწევს მოძრაობას ფართო ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

ესპანელ ფაშისტთა თავხელური სარჩელი

ვაშინგტონი, 4 თებერვალი (საკდესი). პრესის ცნობებით, ესპანელმა ფაშისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას წარუდგინეს სარჩელი იმ ვერცხლზე, რომელიც რესპუბლიკური ესპანეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიჰყიდა (10 მილიონი დოლარის რაოდენობით). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მოითხოვს ამ სარჩელის უარყოფას და აცხადებს, რომ ვერცხლის ყიდვა კანონიერად მოხდა, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატები სცნობენ ესპანეთის მთავრობას და არ სცნობენ გენერალ ფრანკოს. ფინანსთა სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჰომაგალშიაც შეისყიდიან ვერცხლს ესპანეთის რესპუბლიკისაგან.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებულ ცნობათა მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

როგორც ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ცნობები იუწყება, 3 თებერვალს ბრძოლა გრძელდებოდა კატალონიაში ფრონტის ყველა უბანში; განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებდა ვინისა და ბერგის სექტორებში (მანრესის ჩრდილოეთით).

მიუხედავად ინტერვენტთა ძალების დიდი უპირატესობისა, რესპუბლიკელებმა შესძლეს იერიშების მოგერიება ყველა სექტორში, ფრონტის იმ უბნის გამოკლებით, რომელიც მდებარეობს სანაპიროს გასწვრივ, სადაც ინტერვენტებმა რამოდენიმედ წინ წაიწიეს.

ცენტრალური ფრონტი

ფრონტის ესტრემადურის უბანში რესპუბლიკელთა ჯარმა სავსებით მოიგერია მოწინააღმდეგის ყველა იერიში. 3 თებერვალს ღამით, ინტერვენტებმა საარტილერიო სროლა აუტეხეს მადრიდს. დაზიანებულია რამდენიმე სახლი. არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის.

o

როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, 3 თებერვალს ინტერვენტთა თვითმფრინავებმა (ყოველი ნახევარი საათის შემდეგ) 6-ჯერ დაუშინეს ყუმბარები ფიგერასს. მოკლულია 150 კაცი. დაჭრილია დაახლოებით 200 კაცი. ერთერთი ყუმბარა მოხვდა საფრანგეთის საკონსულოს შენობას, სადაც ამჟამად მოთავსებულია საფრანგეთის საელჩო.

ქალაქმა ხერონამ აგრეთვე არაერთხელ ჟანიცადა ბომბარდირება.

სამუშაოები შაორის ველზე

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, წელს შაორის ველზე (იხ. 1938 წლის 29 დეკემბრის „კომუნისტი“) დაწყებული იქნება ახალი სამუშაოები. ამასწინათ ველის დასათვალიერებლად და ჩატარებული მუშაობის შესამოწმებლად გაგზავნილი სპეციალისტთა კომისიის დასკვნის მიხედვით გადაწყვეტილია წელს გაგრძელებულ იქნეს მიწსქვეშა მდინარის კალაპოტის გაგანიერება იმდენად, რომ მდ. შაორის ადიდებისას გვირაბმა თავისუფლად გაატაროს ადიდებული მდინარე.

გარდა ამისა, გადაწყვეტილია წელს დამთავრდეს მდინარის რეჟიმის შესწავლა ველზე წყლის დაგუბების თავიდან აცილებისათვის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად. წელსვე დაიწყება მდ. შაორის ხოტეურას ხევში გადაგდების საკითხის შესწავლა. თუ მიღებულ იქნა დასკვნა, რომ ხოტეურას ხევში მდინარის გადაშენება გეოლოგიური პირობების თვალსაზრისით შესაძლებელია, მაშინ მდინარის გადაგდების სამუშაოებს წელსვე შეუდგებიან.

მდინარის მიწსქვეშა კალაპოტის გასაფართოებლად სპეციალისტებს წაიყვანენ თბილისიდან.

წელს შაორის ველზე დაწყებული სამუშაოები უნდა დამთავრდეს იმდენად, რომ მომავალი წლიდან თავიდან იქნეს აცილებული ადიდებული მდ. შაორის ველზე დაგუბება.

თბილისის ზოოპარკში

წელს დიდი მუშაობა გაჩაღდება თბილისის ზოოპარკის კეთილმოსაწყობად და გასაფართოებლად. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ზოოპარკის დირექციას დაავალა წელს მოაწყოს ორი კუნძული მტაცებელი მხეცების გასაშენებად—ერთ კუნძულზე გაუშვებენ დათვებს, მეორეზე — ლომებს. გარდა ამისა, წელს ააგებენ სპილოს ბინას, ბეგემოტის მოსათავსებელ ბინას, ვოლიერს ნამატი ცხოველებისათვის, ააგებენ აკვარიუმსა და ტერარიუმს (ქვეწარმავალთა და წყლის ცხოველთათვის), მოაწყობენ ხელოვნურ ტბას და სხვ.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ამასთანავე შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ წელს გათვალისწინებულ იქნას საჭირო თანხა ზოოპარკისათვის რამდენიმე საიმპორტო ცხოველის შესაძენად.

სპეციალურ კომისიას დაავალეს შეადგინოს იმ ცხოველთა სია, რომლებიც თბილისის ზოოპარკს ზედმეტი რაოდენობით მოეპოვება, რომ ეს ცხოველები გადასცვალონ ისეთ ცხოველებზე, რომლებიც ზოოპარკს ჯერ არა ჰყავს.

უძველესი შენობა და წყაღსადენი მიწისქვეშ

ყოფ. ვანქის ტაძრის გალავანში (თბილისი) ამას წინათ დაიწყეს მიწის გათხრა ახალი სასკოლო შენობისათვის საფუძვლების ამოსაყვანად. მიწის თხრისას წააწყდენ მიწისქვეშა ნაგებობის ნაშთებს, რაც დაუყოვნებლივ აუწყეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულ კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას. ამის შემდეგ მიწის სამუშაოები სიფრთხილით სწარმოებდა. შემდეგში აქ აღმოჩნდა ირანული სტილის კამაროვანი შენობა, რომელიც სპეციალისტების აზრით მე-16 ან მე-17 საუკუნეში უნდა იყოს აგებული. შენობა ორი სადგომისაგან შესდგება და იგი წარმოადგენს ძველი თბილისის სამოქალაქო ხუროთმოძღვრების ტიპურ ნაგებობას.

იმავე გალავანში აღმოჩენილია წყალსადენის მილები, რომლებიც გამომწვარია თიხისაგან.

აღმოჩენილი ნაგებობის ქვეშ ძველი საფლავები აღმოჩნდა.

თბილისის ზოოპარკში

თბილისის ზოოპარკი. ბავშვები ეთამაშებიან ლომის ლეკვებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ახალი სკოლა

ს. გომი, (სამტრედიის რაიონი). ახლა სხვანაირად გამოიყურება დაბლა გომის არასრული საშუალო სკოლის შენობა. კოხტად შემკული, ლამაზად მორთული დიდი და სინათლიანი ოთახები იზიდავს მოწაფეებს.

ამა წლის 17 იანვარს დაამთავრეს ამ სკოლის რვაოთახიანი შენობის აგება. სკოლის აშენებაზე დაიხარჯა 18 ათასი მანეთი.

უ. ჭინჭარაძე

„ხარხის რჩეული“

თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი თავის პატარა მაყურებლებს მალე უჩვენებს კიდევ ერთ ახალს, ჩვენი თანამედროვე ეპოქის ამსახველ პიესას „ხალხის რჩეულს“.

პიესას დგამს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალ. თაყაიშვილი.

პრემიერა დაიდგმება თებერვლის შუა რიცხვებში.

ახალი ამბები

● **650 პიანინოს** დაამზადებს და ბაზარზე გამოუშვებს წელს თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა.

● **თბილისის ხორცკომბინატის** სამებელ ჭარხალა ფაფაროვების „მოსკოვური“ კატლეტების წარმოებას. ამ დღეებში ჭარხალა დაიწყებს ყოველდღიურად 50.000 ცალ კატლეტის გამოშვებას.

● **საწყალსადენე მილების** გაფუჭების თავიდან ასაცილებლად ზამთრის ბოლომდე (დიდი ყინვების გამო) სახლმმართველობას წინადადება მიეცათ საწყალსადენე ონკანები და მილები შეჰფუთონ.

● **თბილისში არსებული** მუშათა კლუბები და ბიბლიოთეკები, რომლებიც აღგილობრივ ბიუჯეტზე არიან, წელს თბილისის საბჭომ გაათავისუფლა დაკავებული შენობების ქირის გადახდისაგან.

● **თბილისის ფარმაკო-ქიმიურმა** ქარხანამ 1938 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულა.

ქ. კეცხოველის სახელობის პიონერთეატრის სპექტაკლები

7 თებერვალს ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანაში ატარებს ამხ. **ნიკო ტენკოს** ლექციას თემაზე: ნაროდნიკობის განადგურება ლენინის მიერ. რუსულ ენაზე. დასაწყისი დღის 4½ საათზე.

7 თებერვალს ლენინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. **კანტარეს** ლექციას: ლენინის შრომაზე — „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

7 თებერვალს სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ლექციას თემაზე: ძატერიალიზმი და იდეალიზმი. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

7 თებერვალს გრიბოედოვის სახელობის თეატრში — ამხ. **ნიკოლაევსკის** ლექციას ქალაქ თბილისის ყველა მსახიობებისათვის თემაზე: ნაროდნიკობის განადგურება ვ. ი. ლენინის წიგნში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“. რუსულ ენაზე. დასაწყისი დღის 1 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ვ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

6/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 91 აიდა
8/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 92 ახ. სერ. № 1 წყნარი დონი
9/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 93 ლაჯკარა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი

6/II	კოლმეურნის ქორწინება
8/II	პრემიერა უბრალო გოგო
9/II	უბრალო გოგო

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

6/II წარმოდგენა 111	8/II წარმოდგენა 112	9/II წარმოდგენა 113
თოფიანი კაცი	უღანაშაულოდ დამნაშავენი	თოფიანი კაცი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახსირკი — ტელ. 3-11-44

დღეს

ორი წარმოდგენა

დღისით დასაწყისი 2 ს. საღამოს დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო დილის 10 ს-დან

დიდი ატრაქციონული პროგრამა

საცირკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ოსტატები გამოსვლა ატრაქციონისა

ალი-ვაღ

(მსახ. ვადიმოვი) და ვერა მირაზოვი ასისტენტებით.

ეძიებ

მძინარიშვილი

ვენერიული, სიფილისი და ჯანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეა.

ავადმყოფთა მიღება დილის 8-დან 10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა საღ. 6-დან 7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა, № 20, ბინა 57, მე-4 შესავალი, მე-2 სართული. 5—5 22468

სახელმწიფო დაზღვევა

კოლმეურნეობებს შეუძლიათ დააზღვეონ

მარცვლეული, ცერცვეული და ტექნიკური კულტურების ნათესები, ბაღების, სახმილეების და ვენახების შემოსავალი, ცხენები, ძროხები, წვრილფეხა პირუტყვი და სხვ. ცხოველები, შენობები, მოწყობილობა, ინვენტარი და სხვ. ქონება.

კოლმეურნეობების, კოლმეურნეთა, ერთპიროვნული გლეხების, მუშების, მოსამსახურეების და სხვ. მოქალაქეთა ქონება შეიძლება დაზღვეულ იქნას ნებაყოფლობითი წესით.

მუშებს, კოლმეურნეებს და მოსამსახურეებს შეუძლიათ დააზღვეონ საოჯახო ქონება.

ცნობებისა და განმარტებებისათვის მიმართეთ სარაიონო და ქალაქის სახდაზღვევის ინსპექციებს, ან სახდაზღვევის აგენტებს, აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოებს.

517

საქ. სსრ სახ. დაზღვევის სამმართველო.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მოკრიბის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: კამოს ქ. № 68

შთავლიტს რწმუნებული Д—1486